სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

სექტემბერი, 2016

www.ombudsman.ge

დოკუმენტი შემუშავებულია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მე-7 მუხლის შესაბამისად

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ამ გამოცემის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ხარვეზები 8

ა) პროცესუალური ხასიათის ხარვეზები 8

ა.ა) კერძო პირების დავალდებულება და საჯარო უწყებების ვალდებულების გამკაცრება სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით 9

ა.ბ) სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერება ადმინისტრაციული წარმოებისას 10

ა.გ) კერძო პირების მიმართ აღსრულების მექანიზმის დანერგვა 11

ა.დ) დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადის გაზრდა 12

ა.ე) რომით დავებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის ვადის გაზრდა 14

ბ) მატერიალურსამართლებრივი ხასიათის ხარვეზები 15

ბ.ა) უარი გონივრულ მისადაგებაზე 16

ბ.ბ) შევიწროვება 17

ბ.გ) სეგრეგაცია 18

ბ.დ) ვიქტიმიზაცია 19

ბ.ე) ბრძანება დისკრიმინაციაზე 19

ბ.ვ) მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია 20

თავი II. სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვა 22

1. სტატისტიკური მონაცემები 22

2. წარმომადგენლობა სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოებისას 26

3. საქმის შესწავლა სახალხო დამცველის ინიციატივით 27

4. მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის გამოყენება 29

5. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები 31

ა) რეკომენდაცია 31

ბ) ზოგადი წინადადება 44

6. სახალხო დამცველი, როგორც სასამართლოს მეგობარი 46

თავი III. გამოკვეთილი ტენდენციები 52

1. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება 52

2. მიმართვიანობა საერთო სასამართლოებისადმი დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე 67

თავი IV. საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა 71

1. ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისთვის 71

2. ტრენინგები მასწავლებლებისთვის 72

3. ტრენინგი პროკურორებისათვის 73

4. ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისთვის 74

თავი V. თანასწორობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება 75

თავი VI. დასკვნა 77

შესავალი

წინამდებარე სპეციალური ანგარიში მომზადებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში: „ანტიდისკრიმინაციული კანონი“) მე-7 მუხლის საფუძველზე და მოიცავს საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის მექანიზმის მიერ **2015 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 31 აგვისტოს** პერიოდში განხორციელებული აქტივობების მიმოხილვას.[1]

სახალხო დამცველის პირველი სპეციალური ანგარიში ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ[2] 2015 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა, რომელშიც ასახულია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიმოხილვა და დისკრიმინაციის საქმეების შესწავლის ზოგადი პრინციპები, შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში განმეორებით აღნიშნულ საკითხებს არ შევეხებით.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების დღის წესრიგის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებამ აიღო დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის შექმნის ვალდებულება. 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის წარმოადგენს თანასწორობის უფლების სამართლებრივი დაცვის მექანიზმს როგორც საჯარო, ასევე კერძო პირების წინააღმდეგ.

ანტიდისკრიმინაცული კანონის საფუძველზე, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭა საქართველოს სახალხო დამცველს. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, 2014 წლის 22 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის N140 ბრძანების საფუძველზე, აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი. დეპარტამენტმა ფუნქციონირება 2014 წლის 20 ნოემბერს დაიწყო.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების პარალელურად, საქართველოს კანონს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ დაემატა მე-7[3] კარი, რომელიც დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურას არეგულირებს.

---

1 ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიშში ასევე გამოყენებულია ინფორმაცია, რომელიც სახალხო დამცველმა აანგარიშო პერიოდის შემდეგ მოიპოვა

2 სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალური ანგარიში ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUTUdIZXd4MFJqX2s/view

გარდა იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება თავისთავად წარმოადგენს ქვეყანაში თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესში უმნიშვნელოვანეს მოვლენას, კანონი ასევე აღჭურვილია რამდენიმე იმგვარი სამართლებრივი ელემენტით, რაც მის არსებობას კიდევ უფრო ეფექტურს ხდის.

პირველ რიგში, აღსანიშნავია კანონის პირველი მუხლი, რომელში მითითებული დაცული საფუძვლები არ არის ამომწურავი და სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე მსჯელობა შესაძლებელია ნებისმიერი ნიშნის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონკრეტული ნიშანი კანონში დასახელებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ კანონი პირდაპირ მიუთითებს ისეთ დაცულ საფუძვლებს, როგორიცაა, შეზღუდული შესაძლებლობა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა - ნიშნები, რომელიც არ გვხვდება, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ძირითად დოკუმენტებში. აღნიშნული, გარკვეულწილად, წარმოადგენს ხაზგასმას მითითებული სოციალური ჯგუფების თანასწორობის უფლების დაცვის მნიშვნელობასა და დეკლარაციას კანონის საყოველთაო ხასიათზე.

ამასთან, კანონის ეფექტური გამოყენებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ის ავალდებულებს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს, არამედ ასევე კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თავი შეიკავონ დისკრიმინაციული ქმედებებისგან და აღმოფხვრან უთანასწორობა.

ასევე, გარდა იმისა, რომ კანონი განსაზღვრავს დისკრიმინაციის სახეებს - *პიდაპირ* და *ირიბ* დისკრიმინაციას, კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ასევე *აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად.* მითითებული ნორმა სახალხო დამცველს შესაძლებლობას აძლევს იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე არ არის პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის სამართლებრივი შემადგენლობა, იმსჯელოს დისკრიმინაციული პრაქტიკის და ნეგატიური სტერეოტიპებისა და სტიგმების დანერგვის/გაძლიერების შეუთავსებლობაზე ანტიდისკრიმინაციულ კანონთან. აღნიშნულ ნორმას სახალხო დამცველი პრაქტიკაში აქტიურად იყენებს, რაზეც დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი.

კანონის მიღწევად ასევე შეიძლება ჩაითვალოს მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დისკრიმინაცია მრავალი ნიშნის მიხედვით და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ასოციაციით/აღქმით დისკრიმინაციის ცნება.

აღნიშნული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბერკეტის მიუხედავად, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში რჩება პროცესუალური და მატერიალური ხასიათის ხარვეზები, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს. 2015 წლის 11 თებერვალს, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუმჯობესების

მიზნით, სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“, „შრომის კოდექსში“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. კანონში განსახორციელებელ ცვლილებებს დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, თანასწორობის დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემები, სახალხო დამცველის მიერ მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის გამოყენება, სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციების და ზოგადი წინადადებების, ასევე საერთო სასამართლოებში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებების მიმოხილვა, სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ტენდენცია, საერთო სასამართლოების, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის აქტუალობის საკითხი, ასევე სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები.

თავი I. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ხარვეზები

კანონის მიღება და სამართლებრივი დაცვის შესაბამისი მექანიზმების განსაზღვრა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენს, თუმცა, კანონში არსებობს საკითხები, რომელიც დახვეწას საჭიროებს.

2015 წლის 11 თებერვალს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა საკანონმდებლო წინადადებით, რომელიც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონში, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში", საქართველოს „შრომის კოდექსში" და „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში პროცესუალური ხასიათის ცვლილებებს ეხებოდა. გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადებას მხარი დაუჭირეს, თუმცა, წინადადების პლენარულ სხდომაზე განხილვა აქამდე არ მომხდარა.

საკანონმდებლო ხარვეზების შესახებ საუბარი იყო ასევე თანასწორობის საკითხებზე სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალურ ანგარიშში. აღნიშნული საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება.

ქვემოთ განხილული იქნება ანტიდისკრიმინაციულ კანონის პროცესუალური და მატერიალური ხასიათის ხარვეზები.

ა) პროცესუალური ხასიათის ხარვეზები

სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება ეხება პროცესუალურ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო წინადადების თავდაპირველ ვერსიაში, დღეს არსებულ რედაქციასთან შესარებით, მეტი ცვლილება იყო შემოთავაზებული. სახალხო დამცველის მიერ საკანონმდებლო წინადადებაში ასახული ცვლილებები მიზნად ისახავს სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის ეფექტურობის გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი და საერთო სასამართლოები დისკრიმინაციასთან ბრძოლის ორი დამოუკიდებელი მექანიზმია, ამავე დროს, სახალხო დამცველი მოწოდებულია, საქმის სასამართლოში განხილვამდე, შეაგროვოს მტკიცებულებები საქმის გარშემო და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაცია გამოსცეს. ზოგიერთი საკანონმდებლო ხარვეზი სახალხო დამცველს აფერხებს უფრო ეფექტიანი გახადოს მუშაობა დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში.

სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებაში ასახულია შემდეგი საკითხები:

ა.ა) კერძო პირების დავალდებულება და საჯარო უწყებების ვალდებულების გამკაცრება სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ *ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს* დაეკისროთ ვალდებულება, რომ ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მსგავსად, სახალხო დამცველს გადასცენ ინფორმაცია მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან ინფორმაციის მოწოდების ვალდებულების არარსებობა დისკრიმინაცისთან ბრძოლის პროცესში სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. პრაქტიკამ ცხადყო, რომ კერძო სექტორში განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტები სიხშირით არ ჩამოუვარდება საჯარო უწყებებში განხორციელებულ დისკრიმინაციის შემთხვევებს. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მიერ გაცემული 12 რეკომენდაციიდან 5 კერძო პირებს მიემართება, ასევე, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების თანახმად, განმცხადებლების 45% პროცენტი დისკრიმინაციაში კერძო პირს ადანაშაულებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველი თანაბრად ეფექტურად ახორციელებდეს უთანასწორობის სავარაუდო მსხვერპლის დაცვას დისკრიმინაციის ნებისმიერი ჩამდენის მიმართ.

ძირითად შემთხვევებში, სავარაუდო დისკრიმინაციის ცალკეული ფაქტის სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია მოპასუხის მიერ პოზიციის დაფიქსირება და შესაბამისი ინფორმაციის მოწოდება. კერძო პირების მხრიდან სახალხო დამცველთან თანამშრომლობაზე უარის შემთხვევაში ზიანდება დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლის ინტერესი, ვინაიდან რთულდება იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციის ფაქტს. ამასთან, სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელ ფაქტორს საქმის შესწავლის პროცესში საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება წარმოადგენს. დისკრიმინაციის ბუნებიდან გამომდინარე, მსხვერპლისთვის რთული, და რიგ შემთხვევებში, შეუძლებელიც არის დამოუკიდებლად იბრძოლოს უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და მოიპოვოს მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველი მაქსიმალურად დაეხ-

მაროს მსხვერპლს მტკიცებულებების შეგროვებაში, რომ ამ უკანასკნელმა მყარი არგუმენტაციის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს.

ამასთან, საკანონმდებლო წინადადებით სახალხო დამცველი მოითხოვს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონს მე–8 მუხლს დაემატოს მე–4[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„თუ ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის პროკურატურის, საგამოძიებო, სასამართლო ორგანო), კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირი სახალხო დამცველს არ გადასცემს საქმესთან დაკავშირებულ მასალას, საბუთს, ახსნა-განმარტებასა თუ სხვა ინფორმაციას და საქმეში არსებული მასალები ქმნიან გონივრული ვარაუდის საფუძველს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ და საჩივარში/განცხადებაში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, საჩივარი/განცხადება დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა მის დაკმაყოფილებაზე“.

აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს საჯარო და კერძო პირებთან თანამშრომლეობის დამატებით მექანიზმს. განცხადების დაკმაყოფილება ინფორმაციის მოუწოდებლობისას, თუ საქმეში არსებული მასალები იძლევა დისკრიმინაციის ფაქტის სამართლებრივ შემადგენლობას, იქნება ქმედითი ინსტრუმენტი, რომ სახალხო დამცველმა უზრუნველყოს ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეფექტური ამოქმედება და კერძო პირებს დააკისროს ინფორმაციის წარმოდგენის არაპირდაპირი ვალდებულება, ასევე დამატებითი მოტივაცია შეუქმნას საჯარო უწყებებს, სახალხო დამცველს სრულყოფილად მიაწოდონ გამოთხოვილი ინფორმაცია.

ა. ბ) სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერება ადმინისტრაციული წარმოებისას

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში სახალხო დამცველის აჩერებს საქმის წარმოებას, მათ შორის, როდესაც სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. საკანონმდებლო წინადადებით სახალხო დამცველი ითხოვს, რომ მე-9 მუხლიდან აღნიშნული პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ადმინისტრაციული წარმოება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ნაწილია, რომელიც ფართო დისკრეციით სარგებლობს. მისი ბუნების გათვალისწინებით, ის მარტივად შეიძლება მოვიდეს კონფლიქტში ადამიანის უფლებებთან. იმ შემთხვევაში, თუ დისკრიმინაციის ფაქტს ადგილი ჰქონდა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია უკვე მომხდარ ფაქტზე რეაგირებისა და დარღვეული

უფლების ეფექტური აღდგენის შესაძლებლობა, რის გამოც სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვის ალტერნატიულ მექანიზმად ვერ განიხილება.

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს, რაც იმას ნიშნავს, რომ, თეორიულად, შესაძლებელია, ერთიდაიმავე ფაქტების შესახებ ადმინისტრაციულმა ორგანომ და სახალხო დამცველმა სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღონ. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სახალხო დამცველის საქმის წარმოებას დროებით აჩერებს, რაც პრაქტიკაში მხოლოდ საქმის შესწავლის გაჭიანურებას იწვევს.

ა. გ) კერძო პირების მიმართ აღსრულების მექანიზმის დანერგვა

საკანონმდებლო წინადადებით სახალხო დამცველი ასევე მოითხოვს, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელიც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის ფარგლებში მიიღებს რეკომენდაციებს და ზოგად წინადადებებს, საჯარო პირების მსგავსად, დაეკისროს ვალდებულება, განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 14[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი *უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს.* ასევე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24–ე მუხლის მიხედვით, *სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.*

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს აქვს ბერკეტი, რომ უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ მის

მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება. მსგავსი სახის მექანიზმი არ არის გათვალისწინებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. ასეთი მექანიზმის არარსებობის პირობებში, კერძო პირების მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას სახალხო დამცველი მიმართავს Name and Shame (დაასახელე და შეარცხვინე) ხერხს, რაც, ცხადია, სამართლებრივ საშუალებას არ წარმოადგენს და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული მოპასუხე კერძო პირისთვის მისი პირადი თუ საქმიანი რეპუტაცია.

იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური, ან კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი დადასტურდება, სახალხო დამცველი შემოიფარგლება რეკომენდაციის, ან ზოგადი წინადადების გამოცემით. ამის შემდეგ არ არსებობს ბერკეტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კერძო პირთა მხრიდან რეკომენდაციის შესრულების ზედამხედველობა ან/და უზრუნველყოფა.

შექმნილ ვითარებაში აუცილებელია აღნიშნული ვალდებულებების გარკვეული ფორმით გავრცელება კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზეც, რადგანაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე–3 მუხლის 1[1] პუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველობის ფუნქცია, ფაქტობრივად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს ხსენებულ პირთა წრის მიმართ და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას არაეფექტურს ხდის.

ა.დ) დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადის გაზრდა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2]-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირეულ საქმეებთან მიმართებით საერთო სასამართლოებისთვის მიმართვის ვადა არის 3 თვე, მას შემდეგ რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი კი ადგენს, რომ სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს.

საკანონმდებლო წინადადებით სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს მიმართავს, რომ სამთვიანი ვადა 1 წლამდე გაიზარდოს.

იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულებს არსებითად მცირე დრო ეძლევათ სასამართლოში სარჩელის წარსადგენად და სახალხო დამცველის მიერ

საქმის განხილვისას არ ხდება ზიანის ანაზღაურება, უმეტეს შემთხვევაში, სახალხო დამცველისთვის მიმართვის პარალელურად მომჩივანი სარჩელით მიმართავს სასამართლოსაც, რაც იწვევს სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოების შეჩერებას. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა, საქმის სასამართლოს მიერ განხილვის გამო, 5 საქმეზე შეაჩერა საქმის წარმოება. აღნიშნულის შედეგად ბევრი დავა და სახალხო დამცველის კომპეტენციის გარეთ რჩება, ვინაიდან, ადამიანური და დროის რესურსის სიმცირის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, ყოველ საქმეზე 3 თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველისთვის და სასამართლოსთვის მიმართვა არის ძირითადი სამართლებრივი საშუალებები იმ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად განსახორციელებლად, რასაც დისკრიმინაციასთან ბრძოლა გულისხმობს. საკანონმდებლო ბადე ისე შეიძლება მოეწყოს, რომ სახალხო დამცველისა და სასამართლოს ფუნქციები არ ფარავდეს ერთმანეთს და მათი თანაარსებობა, ურთიერთდახმარების გზით ორიენტირებული იყოს დისკრიმინაციისგან ადამიანთა ეფექტურ დაცვაზე.

კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დამცველს შეუძლია სრულყოფილად შეისწავლოს საქმის ყველა გარემოება და მხარის დამატებითი შუამდგომლობების გარეშე გამოითხოვოს მტკიცებულებები, ცნობები, დოუმენტები, მოითხოვოს ახსნა-განმარტებები, ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები, მოიწვიოს სპეციალისტები, ექსპერტები და სხვა. სახალხო დამცველი კონკრეტული საქმის შესწავლისას აწარმოებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევას და აღნიშნულით ხელს უწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. სახალხო დამცელის მიერ საქმის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ კი მხარისთვის გამარტივდება სასამართლოში საკუთარი მოთხოვნის დასაბუთება. ყოველივე აღნიშნული ერთობლიობაში უზრუნველყოფს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენას, ეფექტურ რეაგირებას და მსხვერპლთა დახმარებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით სადავო საკითხი შესაძლებელია ისე მოგვარდეს, რომ სასამართლოში დავის გაგრძელება აღარ გახდეს საჭირო, რაც გამოიწვევს სასამართლოს განტვირთვას ამ ტიპის დავებისგან. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველის მიერ რეკომენდაციის გამოცემის შემდეგ სასამართლოში დავის გაგრძელება არ გახდა საჭირო, ვინაიდან მოპასუხემ რეკომენდაცია აღასრულა.[3] შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სახალხო დამცველისთვის მიმართვის მექანიზმის ეფექტურობის გაზრდისათვის აუცილებელი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ სასამართლოში მიმართვის სამთვიანი ვადა ძალიან მცირეა ხანდაზმულობის სხვა ვადებთან შედარებით

3 მაგალითად, http://www.ombudsman.ge/ge/news/shps-kredom-orsulobis-nishnit-diskriminaciis-agmofxvris-shesaxeb-saxalxo-damcvelis-rekomendacia-sheasrula.page

და ამასთან, არ არის საკმარისი საქმის მასალების მოსამზადებლად. კერძოდ, მითითებული ვადის განმავლობაში დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლმა უნდა მოასწროს იმის გააზრება, რომ შესაძლოა იყოს დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი, მოემზადოს ფსიქოლოგიურად და მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი უფლებების დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში, მოიკვლიოს წარმომადგენელი, მოიძიოს ფინანსური რესურსი ბაჟის გადასახდელად, მოიპოვოს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები და მოამზადოს სარჩელი.

იმ შემთხვევაში, თუ სამთვიანი ვადა გაიზრდება ერთ წლამდე, როგორც ეს აღნიშნულია წარმოდგენილ კანონპროექტში, დაზარალებულს ექნება შესაძლებლობა მიმართოს სახალხო დამცველს და სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ - სასამართლოს. დაზარალებულის მიერ სახალხო დამცველისთვის დროულად მიმართვის შემთხვევაში, სასამართლოსთვის დადგენილი ერთწლიანი ვადა საკმარისი იქნება, რომ სახალხო დამცველმა შეძლოს საქმის სრულყოფილი შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის და სასამართლოს, ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის თანაარსებობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილება შევიდეს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 363[2]-ე მუხლში და სასამართლოსთვის მიმართვის ვადა გაიზარდოს ერთ წლამდე.

ა.ე) შრომით დავებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის ვადის გაზრდა

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებში სასამართლოსთვის მიმართვის ვადის სიმცირე განსაკუთრებული სიმწვავით აისახება შრომით დავებზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დასაქმებულს შეუძლია დამსაქმებლის მიერ გამოცემული გათავისუფლების ბრძანება გაასაჩივროს ბრძანების მიღებიდან *ერთი თვის ვადაში.* ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში მიმართვის ვადა *ერთი თვეა.*

სახალხო დამცველის პრაქტიკიდან გამომდინარე, დისკრიმინაციის ფაქტების დიდი ნაწილი ეხება შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტას დისკრიმინაციული მოტივით. სხვა სახის დავების მსგავსად, შრომითი ურთიერთობებში დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლს აქვს სასამართლოსთვის მიმართვის ინტერესი, თუმცა, ცხადია, ისეთ შემჭიდროებულ ვადაში, როგორიც 1 თვეა, უკიდურესად რთულია, სახალხო დამცველმა სრულყოფილად შეაფასოს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტი და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთო სასამართლოები და სახალხო დამცველი დისკრიმინაციის წინააღდმეგ ბრძოლის ორი დამოუკიდებელი მექნიზმია, თუმცა, პრაქტიკაში, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლის მიერ სასამართლოში დავის წარმატებულად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოსთვის მიმართვამდე სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვა. აღნიშნული ძირითადად განპირობებული ორი ფაქტორით - სახალხო დამცველის დახმარების გარეშე შესაძლებელია მსხვერპლს მნიშვნელოვნად გაუძნელდეს ან მისთვის სრულებით შეუძლებელი აღმოჩნდეს მტკიცებულებების მოპოვება, ასევე, სახალხო დამცველის გადაწყვეტილება დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ შესაძლოა გახდეს სასამართლოში მხარეებს შორის საქმის მორიგებით დასრულების წინაპირობა ან მხარეები სასამართლოსთვის მიმართვამდეც მორიგდეს.

ამასთან, სამთვიანი, შრომით დავებთან დაკავშირებით კი სასამართლოსადმი მიმართვის ერთთვიანი ვადა ეჭვქვეშ აყენებს დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლის მიერ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტური რეალიზების საკითხს და არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა ეს უფლება გახდეს ილუზორული. სახალხო დამცველის მიერ საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სასამართლოებისადმი მიმართვიანობა საკმაოდ დაბალია. აღნიშნული საკითხი განხილული იქნება ქვემოთ.

ზემოაღნიშნული ფაქტორები ერთიანობაში ქმნის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის საფუძველს.

ბ) მატერიალურსამართლებრივი ხასიათის ხარვეზები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები განმარტავს დისკრიმინაციის სახეებს - *პირდაპირ* და *ირიბ* დისკრიმინაციას. მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია, მე-6 პუნქტის მიხედვით კი *ასოციაციით/აღქმით* დისკრიმინაცია არის აკრძალული. ამასთან, კანონის მე-12 მუხლის თანახმად, აკრძალულია *ვიქტიმიზაცია* - ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს და ითანამშრომლა მასთან.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონში არ არის ასახული ყველა სახის დისკრიმინაცია, კერძოდ, კანონში არ არის მოცემული დისკრიმინაციის ისეთი ფორმების განმარტება, როგორიცაა, *უარი გონივრულ მისადაგებაზე* და *შევიწროვე-*

ბა. როგორც აღვნიშნეთ, კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, თუმცა, ზემოხსენებული ცნებების დეტალური განმარტების საჭიროებას განაპირობებს დისკრიმინაციის სხვა სახეებისგან მათი განსხვავებულობა. როგორც შევიწროვების, ასევე გონივრულ მისადაგებაზე უარის შესახებ მსჯელობისას, გამოიყენება მხოლოდ ამ ცნებებისთვის დამახასიათებელი უფლების დარღვევის გამოვლენის ტესტი.

ასევე, კანონში არ გვხვდება *სეგრეგაცია,* როგორც დისკრიმინაციის ცალკეული ფორმა. ამასთან, მიგვაჩნია, რომ დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმების უფრო ეფექტურად მუშაობის მიზნით, სასურველია, კანონში უფრო გასაგები ფორმულირებით გაიწეროს დისკრიმინაციის ფორმები - *ვიქტიმიზაცია* და *ბრძანება დისკრიმინაციაზე (instruction to discrimination),* რომ არაპროფესიონალი მკითხველისთვის განჭვრეტადი და მარტივად აღქმადი იყოს საკუთარი უფლებები. ასევე სასურველია, კანონში დაზუსტდეს *მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის ცნება.*

ბ.ა) უარი გონივრულ მისადაგებაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაერო-ს კონვენციის თანახმად, რომელიც საქართველოსთვის ძალაში 2014 წლის 12 აპრილს შევიდა, დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად დასახელებულია *უარი გონივრულ მისადაგებაზე.*

კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, *დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გულისხმობს, მათ შორის, უარს გონივრულ მისადაგებაზე.* გონივრული მისადაგება, თავის მხრივ, გულისხმობს *ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.* ამასთან, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, *თანასწოროუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისათვის.*

კონვენციის რატიფიცირების მიუხედავად, შიდა კანონმდებლობაში დღემდე არ მომხდარა გონივრული მისადაგების ცნების განსაზღვრა, რის გამოც სახალხო დამცველის რეაგირების მიღმა რჩება სავარაუდო დისკრიმინაციის ისეთი ფაქტები, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციის ამ სპეციფიურ ფორმას, მოპასუხე კი კერძო პირია.

ერთ-ერთ საქმეში, თანასწორობის დეპარტამენტი დადგა გონივრული მისადაგების შესახებ მსჯელობის აუცილებლობის წინაშე - საქართველოს სახალხო

დამცველის აპარატს მომართა ე. გ. - მ, რომელიც მიიჩნევდა, რომ შრომით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ის დაექვემდებარა დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, ვინაიდან დამსაქმებლის, კერძო სამართლის იურიდიული პირის მხრიდან მას უარი ეთქვა გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაზე. სამწუხაროდ, სახალხო დამცველი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა კერძო სამართლის იურიდიული პირის ვალდებულებაზე, განმცხადებლისთვის უზრუნველეყო გონივრული მისადაგება.

აუცილებელია, კანონმდებელმა ერთმნიშვნელოვნად განმარტოს, რომ სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენი არამარტო ვალდებულია საქმიანობა ობიექტური გამართლების ტესტთან შესაბამისობით წარმართოს, არამედ, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს გონივრული მისადაგება.

ამ მიმართულებით, სახალხო დამცველი, სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, გეგმავს რიგი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოძიებას და შესაბამისი საკანონმდებლო წინადადების მომზადებას.

ბ.ბ) შევიწროვება

ევროკავშირის დირექტივების მიხედვით, შევიწროვება დისკრიმინაციის ერთ-ერთ სპეციფიურ ფორმას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს პირის ღირსების შელახვასა და დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.[4] აქედან გამომდინარე, შევიწროვებას აქვს ადგილი, როდესაც სახეზეა

- მსხვერპლისთვის არასასურველი ქმედება
- რომელიც განხორციელებულია პირის ღირსების შელახვის მიზნით
- ქმნის დამამცირებელ, მტრულ და დამაშინებელ გარემოს
- მსხვერპლს ახასიათებს რომელიმე დაცული ნიშანი

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შევიწროვების დადგენის ტესტი განსხვავებულია *პირდაპირი* და *ირიბი* დისკრიმინაციის გამოსავლენი ტესტებისგან. შევიწროვებას, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ სჭირდება შესადარებელი სუბიექტი, ამასთან, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს უფლების დარღვევას. იქიდან გამომდინარე, რომ პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის მტკიცებისას კანონი გვავალდებულებს, რომ არსებობდეს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება და სახეზე იყოს კომ-

4 ევროკავშირის 2000/43/EC დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ, მუხლი 2(3); დირექტივა 2000/78/EC დასაქმებისას თანასწორი მოპყრობის შესახებ, მუხლი 2(3); დირექტივა 2004/113/EC საქონლისა და სერვსების ხელმისაწვდომობისას გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 2(c); დირექტივა 2006/54/EC გენდერული თანასწორობის შესახებ (recast), მუხლი 2 (1) (c)

პარატორი, ბუნებრივია შევიწროვების *პირდაპირი* ან *ირიბი* დისკრიმინაციის კონტექსტში მოაზრება შეუძლებელია. ეს კი ართულებს მტკიცებას და ზოგიერთი შევიწროვების ფაქტი შეიძლება რეაგირების მიღმა დარჩეს.

ამასთან, *პირდაპირი* და *ირიბი* დისკრიმინაციის ცნების თანახმად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობა, როდესაც არსებობს ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობა არის მიზნის მიღწევის აუცილებელი, საჭირო და თანაზომიერი საშუალება. იმის გათვალისწინებით, რომ შევიწროვების დადგენისთვის კომპარატორის არსებობა არ არის საჭირო, მსჯელობა არც „განსხვავებული მოპყრობის“ შესახებ ხდება. შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა პირისთვის, რომელიმე დაცული საფუძვლით, მისი ღირსების შელახვის მიზნით, დამამცირებელი და მტრული გარემოს შექმნა, დადგინდება შევიწროვება, რომელიც, დისკრიმინაციის სხვა სახეებისგან განსხვავებით, არ შეიძლება გამართლდეს რაიმე ლეგიტიმური მიზნით.

ამასთან, მნიშვნელოვანია, საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს *სექსუალური შევიწროვების* ცნება, როგორც *შევიწროვების* ერთ-ერთი სპეციფიური და ყველაზე ხშირი გამოვლინების ფორმა.

დღეს მოქმედ საქართველოს კანონმდებლობაში *შევიწროვების* და *სექსუალური შევიწროვების* განმარტება მხოლოდ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით გვხვდება,[5] თუმცა ეს ცნება გაცილებით ფართოა და დისკრიმინაციის ამ ფორმას პირი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეიძლება დაექვემდებაროს.

ბ.გ) სეგრეგაცია

მნიშვნელოვანია, რომ აკრძალული იყოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც წარმოშობს სამართლებრივი ან ფაქტობრივი *სეგრეგაციის* საფრთხეს, მაშასადამე, დაცული ნიშნების მიხედვით, შესაბამისი ჯგუფების ერთმანეთისგან განცალკევებას ან ერთი ჯგუფის ძირითადი ჯგუფისგან იზოლირებას. *სეგრეგაცია,* უმეტესწილად, წარმოადგენს არა კონკრეტული პირის მიერ რომელიმე უფლებით სარგებლობის ხელშეშლას, არამედ სეგრეგაციას დაქვემდებარებულ პირთა ჯგუფის მიერ ამ უფლებით იზოლირებულად სარგებლობას იმგვარად, რომ, ფაქტობრივად, არ ხდება უფლებით სარგებლობის შეზღუდვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, *სეგრეგაცია* განისაზღვროს როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა.

5 საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი; „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები

ბ.დ) ვიქტიმიზაცია

როგორც აღვნიშნეთ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე აკრძალულია *ვიქტიმიზაცია* - ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს და ითანამშრომლა მასთან. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს დამცავ ბერკეტს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გამოიყენებენ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს საკუთარი თუ სხვების უფლებების დაცვის მიზნით.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვიქტიმიზაცია არ არის განსაზღვრული როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, შესაბამისად, აღნიშნული კითხვის ნიშანს აჩენს - უნდა იყოს თუ არა დისკრიმინაციის საქმეებში გამოსაყენებელი მტკიცების ტვირთის სტანდარტი, ასევე გამოყენებული მე-12 მუხლზე მსჯელობისას.

როგორც მე-12 მუხლიდან გამომდინარეობს, დისკრიმინაციისგან დაცვა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი ა) *დისკრიმინაციისგან დაცვის მიზნით* ბ) *მიმართავს შესაბამის ორგანოს.* მიგვაჩნია, რომ ვიქტიმიზაციის საფრთხე სამართლებრივი საშუალების გამოყენებისას შესაძლოა ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდეს, აღნიშნული ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს სახალხო დამცველისთვის საქმიანობაში ხელშეშლის მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ *ვიქტიმიზაციის* ცნება უფრო ფართოდ გაიწეროს კანონმდებლობაში - აღნიშნული გავრცელდეს არამხოლოდ დისკრიმინაციის შესახებ მიმართვის, არამედ ზოგადად, ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ შეტყობინების შემთხვევებში. ამასთან, აუცილებელია, რომ პირი დაცული არ იყოს მხოლოდ უშუალოდ ორგანოსადმი მიმართვისას, არამედ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ის სხვა ადამიანს გაუწევს დახმარებას ან სხვა რაიმე მოქმედებას განახორციელებს საკუთარი ან სხვისი უფლებების დაცვის მიზნით.

ბ.ე) ბრძანება დისკრიმინაციაზე

ბრძანება დისკრიმინაციაზე (instruction to discrimination) კანონში არ არის ასახული როგორც დისკრიმინაციის ფორმა. სახალხო დამცველი აღნიშნულ ცნებას განმარტავს ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის ქვეშ, თუმცა ბრძანება დისკრიმინაციაზე თანასწორუფლებიანობის დარღვევის უფრო მკაცრი ფორმაა, ვიდრე დისკრიმინაციის ხელშეწყობა. ეს უკანასკნელი შესაძლოა არ იყოს განზრახ გამოწვეული და იყოს მხოლოდ მცდარი ინფორმაციის ან დამკვიდრებული სტერეოტიპების შედეგი. ხოლო ბრძანება დისკრიმინაციაზე გულისხმობს, რომ პირი იყენებს საკუთარ ძა-

ლაუფლებას, რათა სხვა, მისდამი დაქვემდებარებული ადამიანი აიძულოს, ჩაიდინოს დისკრიმინაცია - ეს უფრო მეტად დისკრიმინაციის იძულება და არა მისი ხელშეწყობაა. ამ ცნების კანონში ნათლად გაწერა ასევე უზრუნველყოფს დაქვემდებარებული პირის უფლებას, ასეთი ბრძანების შემთხვევაში სამართლებრივი გზით დაიცვას საკუთარი ინტერესი და არ დაემორჩილოს მითითებას.

ბ.ვ) მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, *მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო.* ეს ნორმა დამატებით აღნიშვნას წარმოადგენს იმის შესახებ, რომ შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში, დისკრიმინაციას ადგილი ჰქონდეს ორი ნიშნის საფუძველზე და მხოლოდ ერთი ნიშანი დისკრიმინაციის დასადგენად საკმარისი არ იყოს - მაგალითად, როდესაც დამსაქმებლისთვის მიუღებელია დაასაქმოს ქალი, რომელსაც ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი, თუმცა არ აქვს წინააღმდეგობა დაასაქმოს ამავე მდგომარეობაში მყოფი კაცი ან ქალი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი არ ჰყავს. ასეთ შემთხვევაში, ერთი ნიშანი - სქესი, დისკრიმინაციის დასადგენად საკმარისი არ არის, რადგან დამსაქმებელი ქალებს, რომლებიც არ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები, არ აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში. თუმცა, სქესის და შეზღუდული შესაძლელობის ნიშანი ერთობლივად გამოყოფს ჯგუფს, რომლის მიმართაც განსხვავებული მოპყრობა ხორციელდება.

მსგავსი განმარტების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ არის ნათელი, რის გამოც, შესაძლოა, არაპროფესიონალმა ადამიანმა ვერ აღიქვას ნორმა იმგვარად, რომ საკუთარი უფლების დაცვა უზრუნველყოს.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფის და, შესაბამისად, თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, *გონივრულ მისადაგებაზე უარი* და *შევიწროვება* საქართველოს კანონმდებლობაში გაიწეროს, როგორც დისკრიმინაციის ცალკეული სახეები. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზოგადი მითითება დისკრიმინაციის ყველა სახის დაუშვებლობის შესახებ არასაკმარისია, რადგან, ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, ასევე დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმების მნიშვნელობის ხაზგასასმელად, მნიშვნელოვანია, კანონმა დააზუსტოს მითითებული ცნებების განმარტება და თუ რა შემთხვევებში ექნება ადგილი ასეთი სახის დისკრიმინაციას. ასევე, მნიშვნელოვანია, დისკრიმიანციის სპეციფიურ ფორმად გაიწეროს *სეგრეგაცია.*

ამასთან, ერთიანი პრაქტიკის დანერგვის და უფლების ადრესატთა მიერ ცალკეული ნორმების უკეთ აღქმის მიზნით, აუცილებელია, ცალკეული მუხლები დაზუსტდეს და მათი ფორმულირება უფრო ნათელი გახდეს. *ვიქტიმიზაცია, ბრძანება დისკრიმინაციაზე* და *მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია* ის მნიშვნელოვანი ცნებებია, რომელიც, სხვა ნორმებთან ერთად, თანასწორუფლებიანობის დარღვევის ინციდენტებს ავლენს და უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული შემთხვევა დისკრიმინაციის ქვეშ იქნას მოაზრებული.

თავი II. სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვა

წინამდებარე თავში განხილულია სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვის სპეციფიკა, კერძოდ, წარმოებაში არსებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები, წარმომადგენლის ჩართულობა სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვისას, სახალხო ინიციატივით დაწყებული საქმეები, საქმის შესწავლისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის გამოყენება. ასევე, სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციები და ზოგადი წინადადებები და საერთო სასამართლოებში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები.

1. სტატისტიკური მონაცემები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული 113 ახალი საქმის შესწავლა დაიწყო, 106 შემთხვევაში აპარატს განცხადებით მომართეს, 7 ფაქტის შესწავლა კი სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო. ამასთან, გამოიცა 12 რეკომენდაცია და 2 ზოგადი წინადადება, 5 საქმეზე კი სახალხო დამცველმა საერთო სასამართლოებში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა.

ამჟამად სახალხო დამცველის მიერ მიმდინარეობს 76 საქმის შესწავლა. საანგარიშო პერიოდში საქმის წარმოება შეწყდა 41 საქმეზე, ამათგან 4 განცხადება ეხებოდა არა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, არამედ განმცხადებლები ინტერესდებოდნენ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სახალხო დამცველის მოსაზრებით. შესაბამისად, განმცხადებელთათვის საპასუხო წერილი გაგზავნის შემდეგ საქმის წარმოება შეწყდა. ამასთან, 19 განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი, 6 საქმის წარმოება კი შეჩერდა, ვინაიდან განმცხადებელმა სასამართლოს მიმართა (5) და საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება (1) დაიწყო. ამასთან, თანასწორობის საკითხებზე გაკეთდა 3 საჯარო განცხადება.[6]

6 იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-qedis-sakrebulos-wevrebis-seqsistur-gamonatqvamebs-exmianeba.page;
http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-girchis-winasaarchevno-reklamastan-dakavshirebit.page;
http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-telekompania-maestros-mier-saias-socialuri-reklamis-etershi-gantavsebaze-uaris-shesaxeb.page

საქმეთა მიმოხილვა



სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი პოლიტიკური ან სხვა შეხედულების (18%), რელიგიის (17%) და ეროვნული/ეთნიკური (14%) საფუძვლით დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტებს ეხება. ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობაა განცხადებების, რომელიც დაკავშირებულია სქესის (10%), სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის (8%) და შეზღუდული შესაძლებლობის (7%) ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციასთან. სხვა ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ განმცხადებელთა 8% დავობს. აღსანიშნავია, რომ მოცემულ სტატისტიკასა და წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებს შორის არის განსხვავება - პოლიტიკური და სხვა შეხედულების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები 3%-ით, რელიგიის ნიშნით 6%-ით, ეროვნული/ეთნიკური წარმომავლობის საფუძვლით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები კი 4%-ით გაიზარდა. სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ მომართვიანობა კი 3%-ით შემცირდა.

დისკრიმინაციის ნიშანი



აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენად თანაბრად გვევლინება საჯარო და კერძო პირები. საჯარო პირების წინააღმდეგ დავა საქმეთა 55%-ის შემთხვევაში მიმდინარეობდა, კერძო სამართლის ფიზიკურ და ურიდიულ პირებს კი განმცხადებლების 45% ედავება.

სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენი



სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა თანასწორობის დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმეების განახლებული ჩამონათვალი 2016 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით.[7] აღნიშნულის მიზანი დეპარტამენტის მუშაობის გამჭვირვალეობის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის 11-ე მუხლის საფუძველზე, საქმის განხილვის პროცესში მესამე პირებისთვის ჩართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. საანგარიშო პერიოდში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის განხილვის პროცესში მესამე პირად ჩართვის მოთხოვნით სახალხო დამცველისთვის არ მოუმართავთ.

საანგარიშო პერიოდში თანასწორობის დეპარტამენტმა საქმის შესწავლის პროცესში ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, 491 წერილი გაგზავნა.

7 http://www.ombudsman.ge/ge/diskriminaciis-prevenciis-meqanizmi/siaxleebi/tanasworobis-departamentis-warmoebashi-arsebuli-saqmeebis-ganaxlebuli-sia.page



2. წარმომადგენლობა სახალხო დამცველის მიერ საქმის წარმოებისას

სახალხო დამცველი სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეისწავლის როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე ინდივიდების მომართვის საფუძველზე. სახალხო დამცველის აპარატში საქმის წარმოებისას, პირს ასევე შეიძლება ჰყავდეს წარმომადგენელი, რომელიც აპარატის მიერ საქმის შესწავლის პროცესში მის სამართლებრივ ინტერესებს წარმოადგენს. ამ მიზნით, რწმუნებულმა სახალხო დამცველის აპარატში უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება. წარმომადგენელი შეიძლება საქმის წარმოებაში ჩაერთოს როგორც სახალხო დამცველისთვის განცხადებით მიმართვისას, ასევე საქმის შესწავლის შემდგომ ეტაპზე. სახალხო დამცველის მიერ კონკრეტული საქმის შესწავლისას წარმომადგენლის ჩართულობა არ ახდენს გავლენას საქმის წარმოებასა თუ საბოლოო შედეგზე. წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს სახალხო დამცველს წერილობით წარუდგინოს სამართლებრივი დასაბუთება, მიუთითოს შესაბამისი სამართლებრივი წყაროები, რომელიც მას საქმის განხილვისას რელევანტურად მიაჩნია.

წარმომადგენელი



სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ავტორთა 17% ჰყავს წარმომადგენელი, რომელიც, უმეტესწილად, თანასწორობის კოალიციის[8] წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან.

3. საქმის შესწავლა სახალხო დამცველის ინიციატივით

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით დაიწყოს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლა.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით სულ 7 საქმის შესწავლა დაიწყო. წინა საანგარიშო პერიოდში პროაქტიულად 4 საქმის შესწავლა იქნა დაწყებული.

2016 წლის 11 თებერვალს სახალხო დამცველმა დაიწყო საქმის შესწავლა, რომელიც ეხება ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N28-116 დადგენილებით განსაზღვრულ თავშესაფრის გადანაწილების წესს. აღნიშნული

8 თანასწორობის კოალიციის წევრები არიან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საფარი“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „იდენტობა“, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“

საქმე შესწავლის პროცესშია და სახალხო დამცველი გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს.

2016 წლის 20 აპრილს სახალხო დამცველი პროაქტიულად დაინტერესდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმებით, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის წევრ სტუდენტებს, არაწევრი სტუდენტებისგან განსხვავებით, რიგი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 2016 წლის 13 მაისს სახალხო დამცველმა გამოსცა რეკომენდაცია, რომელსაც დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

2016 წლის 9 ივნისს სახალხო დამცველმა დაიწყო ვეგან-კაფე „კივის“ პერსონალის და შემთხვევის ადგილზე მყოფი სხვა ადამიანების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის გამოძიების პროცესის შესწავლა. ამასთან, სახალხო დამცველი დაინტერესდა ბოლო პერიოდში სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ტენდენციით. აღნიშნული საქმეები შესწავლის პროცესშია. სახალხო დამცველის წარმოებაში მსგავსი ტიპის საქმეების შესახებ ასევე ქვემოთ იქნება საუბარი.

2016 წლის 9 ივნისს და ამავე წლის 19 ივლისს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო კერძო პირების მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიის შესახებ დისკრიმინაციული კრიტერიუმების შემცველი განცხადებების შესწავლა, რომლის შესახებ სახალხო დამცველი უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას.

2016 წლის 10 აგვისტოს სახალხო დამცველი დაინტერესდა „ვაკის აუზზე“ გამოკრული გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებით, რომლის თანახმად, ქალებს, მენსტრუაციის დროს, აუზით სარგებლობა ეკრძალებათ. საქმე შესწავლის პროცესშია და სახალხო დამცველი უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას.

2016 წლის 16 აგვისტოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ ი. ციციშვილის სახელობის ახალ კლინიკაში მამებს, მნახველთათვის განკუთვნილი საათების გარდა, არ ეძლევათ ბავშვთან ყოფნის შესაძლებლობა და პალატაში მხოლოდ დედები დაიშვებიან. აღნიშნულის შესახებ სახალხო დამცველმა კლინიკიდან გამოითხოვა ინფორმაცია და საქმე შესწავლის პროცესშია.

2016 წლის 26 აგვისტოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით მოახდინა რეაგირება მედიით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომლის თანახმად, რესტორან „სტეფანწმინდაში“ ტურისტები არ შეუშვეს მათი „ევროპული გარეგნობის“ გამო. ამჟამად საქმე შესწავლის პროცესშია.

სამწუხაროდ, მიმდინარე საქმეების თუ სხვა აქტივობების ფონზე დროის რესურსის სიმცირის გამო, აღნიშნული მექანიზმი სათანადოდ არ არის განვითარებული, თუმცა, სახალხო დამცველი აცნობიერებს დისკრიმინაციასთან

ბრძოლის პროცესში მისი, როგორც აქტივისტის როლს და გეგმავს აღნიშნული მიმართულების გაძლიერებას.

4. მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის გამოყენება

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში სხვა სამართლებრივი ურთიერთობებისგან განსხვავებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი გამოიყენება. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, *პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.* მსგავსი შინაარსის ნორმას ითვალისწინებს საქართველოს საპროცესო კოდექსის 363[3] მუხლი, რომელიც სასამართლოში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს ეხება.

როდესაც სახალხო დამცველის აპარატში შემოდის განცხადება, რომლითაც პირი დავობს, რომ ის დაექვემდებარა დისკრიმინაციას, სახალხო დამცველი ამოწმებს, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები შინაარსობრივად თუ შეესაბამება დისკრიმინაციის სამართლებრივ შემადგენლობას. მოცემულ ეტაპზე, სახალხო დამცველი არ იკვლევს, მითითებულია თუ არა განცხადებაში დისკრიმინაცის ყველა წინაპირობა, არამედ, სახალხო დამცველისთვის საქმის შესწავლის დასაწყებად საკმარისია, რომ განმცხადებელმა მიუთითა, რომ ის ერთიანდება რომელიმე დაცულ საფუძვლის ქვეშ და ამის გამო ეპყრობიან სხვებისგან განსხვავებულად. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, სახალხო დამცველი აფასებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ზემოთხსენებულ ფაქტობრივ აღწერილობას და არ სთხოვს მას განცხადების დასაშვებად ცნობისთვის მტკიცებულებების წარმოდგენას. შესაბამისად, მსგავსი განცხადების წარდგენისას, სახალხო დამცველს წარმოეშობა „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“, განცხადებას დასაშვებად ცნობს და განაგრძობს საქმის შესწავლას, რაც, მათ შორის, გულისხმობს, მოპასუხისგან სავარაუდო დისკრიმინაციის ჩადენის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას.

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“, აგრძელებს საქმის შესწავლას, კერძოდ, სახალხო დამცველი მოპასუხეს უგზავნის განმცხადებლის განცხადებას და, საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, სთხოვს დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ან ასევე მიმართავს კონკრეტული კითხვებით - **აღნიშნული**

გულისხმობს, რომ მტკიცების ტვირთი გადავიდა მოპასუხე მხარეზე და მან უნდა წარმოადგინოს განმცხადებლის მიერ მითითებული იმ ფაქტების თუ მტკიცებულებების გამამართლებელი ლეგიტიმური მიზეზები, რის საფუძველზეც სახალხო დამცველს წარმოეშვა „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი".

აღნიშნულის პარალელურად, საჭიროების შემთხვევაში, სახალხო დამცველი ასევე განმცხადებელს თხოვს, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მხარეს ეგზავნება მეორე მხარის მიერ წარდგენილი ნებისმიერი ინფორმაცია და ეძლევა შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. თუ სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მხარეებთან წერილობითი კომუნიკაცია საქმის სრულყოფილად შესასწავლად არ არის საკმარისი, ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი მხარეებს იწვევს ზეპირი მოსმენაზე, რომელზეც ასევე შესაძლებელია მხარეები მორიგდნენ. მხარეებთან კომუნიკაციის სიხშირე დამოკიდებულია კონკრეტული საქმის კომპლექსურობაზე.

აღსანიშნავია, რომ საქმის წარმოების პროცესში, სახალხო დამცველის მიერ მტკიცების ტვირთის გადატანა მხარეზე ერთჯერადად ხდება. კერძოდ, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველი მტკიცების ტვირთს გადაიტანს მოპასუხეზე, სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს, რომ დისკრიმინაციის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განმცხადებლისთვის გაგზავნა და მისთვის საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ემსახურება მხოლოდ განმცხადებლის ინფორმირებულობას საქმის წარმოების პროცესის შესახებ და არ აკისრებს მას ვალდებულებას, გააბათილოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და ხელახლა ამტკიცოს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას. შესაბამისად, ამ ეტაპზე, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა დამოკიდებულია, წარუდგენს თუ არა მოპასუხე მხარე სახალხო დამცველს სათანადო არგუმენტაციას, რომელიც გაამართლებს განსხვავებულ მოპყრობას განმცხადებლისადმი.

არის შემთხვევები, როდესაც მოპასუხე უარს ამბობს სახალხო დამცველთან კომუნიკაციაზე. მაგალითად, კერძო პირებმა, რომლებსაც კანონით არ ევალებათ ინფორმაცია მიაწოდონ სახალხო დამცველს, შესაძლოა თანამშრომლობისგან თავი შეიკავონ. მსგავს შემთხვევებში, სახალხო დამცველი, საერთაშორისო სტანდარტის და მის ხელთ არსებული ფაქტებისა და მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოპასუხის მიერ ინფორმაციის მოწოდებაზე უარს მოიაზრებს როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების უტყუარობას და, **შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში,** დაადგენს დისკრიმინაციის ფაქტს.[9]

9 მაგალითად, სახალხო დამცველის რეკომენდაცია შპს „ახალ მზერას", ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelma-orsulobis-nishnit-pirdapiri-diskriminaciis-faqti-daadgina.page

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის ზემოთმითითებული სტანდარტის გამოყენება, რამდენადაც, ძირითად შემთხვევებში, დისკრიმინაციის ფაქტებს ადგილი აქვს არა საჯარო სივრცეში, არამედ ფარულად, როდესაც შესაძლოა ვერც დისკრიმინაციის ჩამდენი და ვერც მსხვერპლი ვერ აცნობიერებდეს, რომ ეს უკანასკნელი დისკრიმინაციას ექვემდებარება. დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ გვხვდება მტკიცებულებები, რომელიც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა დისკრიმინაციის ფაქტს. აქედან გამომდინარე, საქმის განხილვისას სახალხო დამცველი სწავლობს საქმის გარშემო არსებულ ყველა სახის მასალას თუ სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც, ერთი შეხედვით, შესაძლოა არ იყოს საქმესთან პირდაპირ კავშირში, ასევე აანალიზებს ზოგად კონტექსტს, რომლის ფონზეც ადგილი ჰქონდა სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს და შეჯერებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. შესაბამისად, სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის მტკიცების მძიმე ტვირთის დაკისრება და მისთვის ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის დავალდებულება მაღალი სტანდარტით, გაუმართლებელი იქნებოდა და თანასწორობის უფლების რეალიზაციის ეფექტურობას საფრთხის ქვეშ დააყენებდა.

5. სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში სახალხო დამცველი დისკრიმინაციის განმახორციელებელ პირს მიმართავს რეკომენდაციით, ხოლო როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციული პრაქტიკის ხელშეწყობას ან მოწოდებას დისკრიმინაციისკენ, გამოსცემს ზოგად წინადადებას.

ა) რეკომენდაცია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, *თუ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდება დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები არ არის აღმოფხვრილი, საქართველოს სახალხო დამცველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ასრულებს საქმის წარმოებას და დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ გამოსცემს რეკომენდაციას.*

სახალხო დამცველი რეკომენდაციით ასრულებს საქმის წარმოებას იმ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით

სარგებლობისას რომელიმე დაცული საფუძვლით, პირი დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას, რომელსაც არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და, შესაბამისად, სახეზეა დისკრიმინაციის ფაქტი.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა გამოსცა 12 რეკომენდაცია: შეზღუდული შესაძლებლობის (2), სექსუალური ორიენტაციის (2), მოქალაქეობის (2), სქესის (2), ორსულობის (2), ქონებრივი მდგომარეობის (1) და გაერთიანების წევრობის (1) ნიშნით. ამათგან 7 რეკომენდაცია მიემართება ადმინისტრაციულ დაწესებულებებს, 5 რეკომენდაცია კი კერძო პირების მიმართ არის გაცემული. 8 შემთხვევაში მოპასუხემ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაიზიარა.

შეზღუდული შესაძლებლობა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ ორი რეკომენდაცია გამოსცა. ერთ შემთხვევაში რეკომენდაცია ფიზიკური პირის მხრიდან დისკრიმინაციას ეხება, მეორე შემთხვევაში კი სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

პირველი შემთხვევის[10] ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ფიზიკური პირმა, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ მოქირავნის ოჯახის ერთ-ერთი ბავშვს აუტისტური სპექტრის დიაგნოზი ჰქონდა, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა მოითხოვა. მეორე შემთხვევაში,[11] საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს მანქანა, რომლის ერთ-ერთი მგზავრი ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო. ვიდრე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ადმინისტრაციულ ოქმს შეადგენდნენ, მათ განმცხადებელს არ მისცეს საშუალება, მანქანის საბარგულიდან ეტლი გადმოეტანა და საპირფარეშოთი ესარგებლა, რის შედეგადაც განმცხადებელი იძულებული გახდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილება მანქანაში დაეკმაყოფილებინა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული ორ საქმეში დისკრიმინაციას ადგილი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ვითარებაში ჰქონდა, რაც, გარკვეულწილად, იმის მაჩვენებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეიძლება დაექვემდებარონ გაუმართლებელ განსხვავებულ მოპყრობას, რაც, უმეტეს შემთხვევაში, სხვა დაუცველი ჯგუფების მსგავსად, მათ ღირსებას ლახავს.

ძალიან ხშირად, დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზი ის მცდარი უარყოფითი სტერეოტიპული დამოკიდებულებაა რაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თუ სხვა დაუცველი ჯგუფების

10 იხილეთ რეკომენდაციის სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3008.pdf
11 იხილეთ რეკომენდაციის სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3868.pdf

მიმართ აქვს. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე განსახილველ შემთხვევაშიც - ბინის მესაკუთრემ, ყოველგვარი ობიექტური გარემოების გარეშე, სუბიექტური აღქმის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს მის ბინაში არ უნდა ეცხოვრა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები უშულოდ ესწრებოდნენ ოჯახის გამოსახლების პროცესს, რა დროსაც, ბინის მესაკუთრე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის შესახებ, ერთმნიშვნელოვნად არსებული სტიგმების გავლენით საუბრობდა: „ღამე არ გაათიოს აქ, მორჩა და გათავდა!“ „ჩუმჩუმელა ეგ, არავინ არ უნდა შეიცოდო თურმე, აფერისტები ეგენი, გამოექცევიან სოფელს, წადით ერთი სოფელში მაგნაირი ავადმყოფები რამდენს უყრიათ, სამ-სამი უყრიათ და არ მოდიან აქ“; „მე მიქმნის პრობლემას ეხლა რათ მინდა ასეთი ავადმყოფი და იმიანი ბავშვი, ეზოში აგერ ცეცხლი გამიჩინოს ის გამიჩინოს“; „ვერსად ვერ გავდივარ იმის გამო რომ არაფერი გააფუჭოს“; „გადმოსვლის დღიდან ვუთხარი წადი-თქო რაც მე დავინახე ეს მდგომარობა, რომ მოიყვანა ეს ბავშვი და ჩემთვის არ გაუმხელია როგორი პიროვნება იყო ეს ბავშვი“.

აღნიშნული საქმე ასევე კარგი მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციას მნიშვნელოვნად შეუძლია მოახდინოს გავლენა მათ ოჯახის წევრებზე თუ სხვა ახლობელ ადამიანებზე, იმგვარად, რომ მათაც შეეშალოთ ხელი თავიანთი უფლებებით სარგებლობისას. რეკომენდაციაში, სახალხო დამცველი ასევე დაეყრდნო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტს და ბავშვის ოჯახის წევრებთან მიმართებით მიუთითა, რომ *დისკრიმინაცია არსებობს იმის მიუხედავად, პირს რეალურად აქვს თუ არა კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.* შესაბამისად, დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ პირდაპირ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიმართ, არამედ ასევე ბავშვის ოჯახის წევრები დაექვემდებარნენ ასოციაციით დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სტატუსით ჩვენება მისცეს იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლის მომსწრეც ოჯახის გამოსახლების პროცესში გახდნენ. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მოპასუხეს დისკრიმინაციის ფაქტის გამო 1000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ასევე მრავლად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინაიდან იმის გამო, რომ გარემო არ არის მათ საჭიროებებზე

სრულად მორგებული, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დამოუკიდებლად, თავიანთი გადაწყვეტილების საფუძველზე იმოქმედონ.

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის მეორე ფაქტი შეეხებოდა შემთხვევას, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ მყოფი ეტლით მოსარგებლე ადამიანი სრულიად დამოკიდებული იყო პატრულ-ინსპექტორთა კეთილ ნებაზე, მისთვის საპირფარეშოთი სარგებლობის პირობები შეექმნათ. მსგავსი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, განპირობებულია სამართალდამცავი თუ სხვა ორგანოების წარმომადგენელთა მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის არქონით, მეორე მხრივ, კი სახელმწიფო პოლიტიკის ხარვეზით, რომლის თანახმად, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა საჭიროებებზე აქცენტი ნაკლებად არის გაკეთებული, რის შედეგადაც, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, რომლის უმთავრეს მოვალეობას ყველა ინდივიდის დაცვა წარმოადგენს, ვერ უმკლავდება ვითარებას იმგვარად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და თავისუფლებები არ შეილახოს.

როგორც აღვნიშნეთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შელახვის საფრთხე ნებისმიერ სფეროში არსებობს, როგორც საჯარო უწყებების, ასევე კერძო პირების მხრიდან. შესაბამისად, განხილულ გადაწყვეტილებებში სახალხო დამცველის რეკომენდაციას წარმოადგენდა, რომ ერთი მხრივ, ბინის მესაკუთრემ მომავალში თავი შეიკავოს ამ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობისგან, მეორე მხრივ, კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსამსახურეთათვის უზრუნველყოს ტრენინგები და სხვა შესაბამისი ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ თეორიული ცოდნის მიღების, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით რთული სიტუაციების მართვის უნარების გამომუშავებისა და აღნიშნული საკითხის მიმართ მოსამსახურეთა მხრიდან მგრძნობელობის ამაღლების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის საპასუხოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვეცნობა, რომ სსიპ საქართველოს შსს აკადემიას შემუშავებული აქვს სასწავლო პროგრამა სახელწოდებით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის დამყარების სტანდარტები“. პროგრამა 2016 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში გაიარა 31 მსმენელმა, ამჟამად ხორციელდება პროგრამის ინტეგრირება პატრულ-ინსპექტორთა და უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

სექსუალური ორიენტაცია

სახალხო დამცველმა ორ შემთხვევაში დაადგინა პირდაპირი დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. ჩვენმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ დაცული საფუძვლით დისკრიმინაციის შემთხვევებში, მსხვერპლი, ხშირად, შესაძლოა იძულებული იყოს, გაამხილოს საკუთარი სექსუალური ორიენტაცია. ასევე, სექსუალური ნიშნით განსხვავებული მოპყრობისას, შესაძლოა ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდეს აღქმით დისკრიმინაციას.

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციაში, რომლითაც სახალხო დამცველმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართა, აღნიშნულია, რომ ტუბერკულოზის სამკურნალო N19 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამეურვეო ნაწილში ცხოვრობენ პატიმრები, რომლებიც ადმინისტრაციის მხრიდან გბტ თემის წარმომადგენლებად აღიქმებიან. აღნიშნული სივრცეში, დაწესებულების სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, არ არის სათანადო საცხოვრებელი პირობები, რაც არათუ პატიმრების გამოჯანმრთელებას უწყობს ხელს, არამედ მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას აუარესებს.

წინამდებარე საქმეში, სახალხო დამცველს არ გამოუკვლევია, სამეურნეო ნაწილში მოთავსებული პატიმრები ნამდვილად განეკუთვნებოდნენ თუ არა გბტ თემს, რამდენადაც, ადმინისტრაციის მხრიდან მათი ამ თემის წარმომადგენლებად აღქმა და ამ საფუძვლით ღირსების შემლახავი პირობებისადმი დაქვემდებარება თავისთავად წარმოადგენდა პირდაპირ დისკრიმინაციას სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებაში არსებულმა სტერეოტიპებმა შექმნას აღქმა, რომ ინდივიდი რომელიმე ჯგუფს განეკუთვნება და ამ საფუძვლით, გამოიწვიოს მისი იზოლაცია, იმის მიუხედავად, რეალურად მიაკუთვნებს თუ არა ის საკუთარ თავს კონკრეტულ ჯგუფს. ასეთ შემთხვევებში, ლგბტ თემის წარმომადგენლები განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებიან, რამდენადაც იძულებულნი არიან, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, ღიად ისაუბრონ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ - უარყონ ან დაადასტურონ რომ თავს ლგბტ თემს მიაკუთვნებენ, რაც, შესაძლოა, მათ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას არ წარმოადგენდეს.

ზემოაღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან გვეცნობა, რომ N19 პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო ნაწილისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ კორპუსს ჩაუტარდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ადგილზეც გადაამოწმა. სამინისტრომ წერილში ასევე მიუთითა, რომ აღნიშნულ ნაწილში განთავსებული მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა,

ერთ-ერთმა მათგანმა კი სრულიად დაასრულა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსი.

სახალხო დამცველის მიერ სქესის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ კიდევ ერთი რეკომენდაცია გამოიცა, რომელიც შეეხება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის N241/ნ ბრძანებას, რომლის თანახმად, სისხლის დონორობასთან დაკავშირებით მსმ ჯგუფისთვის ერთმნიშვნელოვანი აკრძალვა მოქმედებს. ამასთან, ბრძანების თანახმად, ჰეტეროსექსუალურ სარისკო კონტაქტთან დაკავშირებით გადავადების 12 თვიანი პერიოდია გათვალისწინებული.

პრობლემურია ის გარემოება, რომ მამაკაცებს შორის სექსუალური კავშირის შემთხვევაში, აკრძალვა ბლანკეტურია და ჰეტეროსექსუალური ან ქალებს შორის სექსუალური ურთიერთობის მსგავსად, არ ხდება რისკების შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე. ამასთან, სადავოა, მსგავსი განსხვავებული მოპყრობა რამდენად არის უსაფრთხოების მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება, რამდენადაც, მსმ კავშირის შესახებ ინფორმაციის მოწოდება სისხლის დონორობის მსურველის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

სამინისტრო აკრძალვას „ფანჯრის პერიოდის“ განსაზღვრის სირთულეს უკავშირებს, თუმცა, ბუნდოვანია, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში რატომ არის მსგავსი შემოწმება პრობლემატური, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ტიპის სექსუალური კავშირის შემთხვევებში, ყოველ პოტენციურ დონორთან დაკავშირებული რისკი ინდივიდუალურად ფასდება. ამ დროისთვის აღნიშნული რეკომენდაცია აღუსრულებელი რჩება.

სხვა დაცული საფუძვლების მსგავსად, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია, უმეტესწილად, საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი და მოძველებული ინფორმაციით არის განპირობებული, რაც, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებიდან აღნიშნული სოციალური ჯგუფის იზოლაციას იწვევს.

მოქალაქეობა

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია სახალხო დამცველმა ორ საქმესთან მიმართებით დაადგინა.

ზოგიერთ შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუმცა აღნიშნულის გასამართლებლად, სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს ლეგიტიმური მიზანი და დაასაბუთოს, რომ განსხვავებული მოპყრობა მიზნის მიღწევის ყველაზე გამართლებული და მსუბუქი საშუალებაა.

მოქალაქეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ სახალხო დამცველის ერთი რეკომედნაცია[12] ეხება ქ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დათვალიერებისთვის არათანაბარი ტარიფების დაწესებას ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქეებისთვის, მეორე მხრივ კი საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ. საქმის შესწავლის პროცესში, მოპასუხე ქ. ბათუმის საკრებულო აქცენტს აკეთებდა საქართველოს მოქალაქეების ეკონომიკურ შესაძლებლობასა და ბაღის ცნობადობის გაზრდის ლეგიტიმურ მიზანზე. ამასთან, მოპასუხე მიუთითებდა, რომ განსხვავებული ტარიფის დაწესების მიუხედავად, ადგილობრივ დამთვალიერებელთა რიცხვი არ გაზრდილა.

სახალხო დამცველმა არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება რომ ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მათი მოქალაქეობის მიხედვით უნდა ხდებოდეს, ასევე მიუთითა, რომ მაღალი ტარიფის დაწესება ვერ იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე თავად აღიარებს, რომ განსხვავებული სატარიფო სისტემის მიუხედავად, ბაღის დამთვალიერებელთა რიცხვი არ გაზრდილა.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საპასუხოდ, ტარიფები ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის გათანაბრდა.

სახალხო დამცველის კიდევ ერთი რეკომენდაცია,[13] რომლითაც ასევე მოქალაქეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დადგინდა, ეხება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პატიმრების მიერ საქართველოს მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამით სარგებლობას - პატიმრები, რომლებიც არ ფლობდნენ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის 11-ნიშნა პირად ნომერს, ვერ რეგისტრირდებოდნენ აღნიშნულ პროგრამაში. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მიუთითებდა, რომ პროგრამის ბენეფიციარების საქართველოს მოქალაქეებით შეზღუდვა ემსახურებოდა მედიკამენტის უსაფრთხოების მიზანს, რომ მისი გატანა საქართველოს საზღვრებს გარეთ არ მომხდარიყო.

წინამდებარე საქმეში, სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პატიმრები სრულიად სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ იმყოფებიან, შესაბამისად, მათი ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვაზე სახელმწიფოს განსაკუთრებით მაღალი პასუხისმგებელობა ეკისრება. მკურნალობის არარსებობის პირობებში, როდესაც საფრთხე ექმნება პატიმრის ჯანმრთელობის თუ სიცოცხლის უფლებას, მედიკამენტის უსაფრთხოება, პროგრამის ტექნიკური ხარვეზი თუ სხვა მიზეზი, ვერ გაამართლებს განსხვავებულ მოპყრობას.

12 რეკომენდაციის სრული ვერსია იხილეთ: https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUN2dnU3RJeDdwMTQ/view?pref=2&pli=1

13 იხილეთ რეკომენდაციის სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3381.pdf

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, C ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამაზე ხელმისაწვდომობა ყველა პატიმრისთვის უზრუნველყოფილია.

როგორც აღვნიშნეთ, მოქალაქეობის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, სახელმწიფოს მხრიდან, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში გამართლდეს, თუმცა, საპირისპიროდ, სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომ განსხვავება უფრო დიდი სიკეთის დაცვით არის განპირობებული. სახალხო დამცველის მიერ განხილულ წინამდებარე შემთხვევებში, მოპასუხეების მიერ წარმოდგენილი ლეგიტიმური მიზანი იყო არათუ თანაზომიერი ღონისძიება, არამედ არ წარმოადგენდა მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. ერთი მხრივ, ქ. ბათუმის საკრებულომ მიუთითა, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუმრებისთვის მაღალი ტარიფის დაწესების მიუხედავად, ბაღის დამთვალიერებელთა რიცხვი არ გაზრდილა. ასევე, არადამაჯერელ არგუმენტს წარმოადგენდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ დასახელებული მედიკამენტის უსაფრთხოების დაცვის მიზანი, რამდენადაც გაუგებარი იყო, პატიმარი, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, როგორ შეძლებდა მედიკამენტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, განსაკუთრებით, ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანას.

მოქალაქეობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შესახებ სახალხო დამცველი რამდენიმე საქმეს სწავლობს, რომელიც კერძო ბანკების მიერ უცხოელთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას ეხება. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით სახალხო დამცველი გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს.

სქესი

სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას, ძირითადად, ქალების მიმართ აქვს ადგილი. ერთ-ერთი სფერო, რომელშიც ქალები დისკრიმინაციას განსაკუთრებით ხშირად აწყდებიან, წინასახელშეკრულებო და შრომითი ურთიერთობებია. როგორც სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევებიდან იკვეთება, დამსაქმებლები საპასუხისმგებლო, მენეჯერულ პოზიციებზე დასასაქმებლად სასურველ კანდიდატად კაცს მოიაზრებენ, იმ სამუშაოს შესასრულებლად კი, რომელიც მნიშვნელოვან საკვალიფიკაციო მოთხოვნებს არ ითვალისწინებს, დამსაქმებელი „20-25 წლის სასიამოვნო გარეგნობის გოგონას“ ეძებს. აღნიშნული პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა - ერთი მხრივ დამსაქმებლები დასაქმებისთვის აწესებენ დისკრიმინაციულ მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი, ვებ-გვერდები, რომელზეც ვაკანსიის შესახებ განცხადებები ქვეყნდება, ხელს უწყობენ ასეთი განცხადებების გავრცელებას. წინა საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა, მსგავსი პრაქტიკის აღმოფხვრის მოთხოვნით, ზოგადი წინადადებით მიმართა დასაქმების ვებ-გვერდს www.

jobs.ge,[14] თუმცა, აღნიშნულს სამწუხაროდ, მოპასუხის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის შესახებ ორი რეკომენდაცია გამოსცა, რომელთაგან ერთი, სწორედ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში გაუმართლებელ განსხვავებულ მოპყრობას ეხება.[15] განსახილველ საქმეში, შპს „ელიტ-სერვისის" ვაკანსიის შესახებ განცხადებაში, რომელიც განთავსებული იყო ვებ-გვერდზე www.myjobs.ge, აღნიშნული იყო, რომ მდივნის პოზიციაზე კომპანია ეძებდა „დასაოჯახებელ, სრულიად უკომპლექსო 16-დან 25 წლამდე გოგონას". რეკომენდაციის შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ მოპასუხეს სახალხო დამცველისთვის არ უცნობებია.

მსგავსი განცხადებები, სამწუხაროდ, ერთეულ შემთხვევებს არ წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში, სქესთან ერთად, აქცენტს აკეთებს ასევე ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობაზე. ასეთი განცხადებები, როგორც წესი, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ქალებს. მსგავსი მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპული წარმოდგენების გამყარებას, რომ ქალებს, კაცებთან შედარებით, ნაკლები უნარი გააჩნიათ, თავი გაართვან საპასუხისმგებლო სამუშაოს. განსაკუთრებით საგანგაშოა, როდესაც ასეთ პრაქტიკას მიმართავენ ისეთი კომპანიები, რომელთაგან საზოგადოება სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენას ელის და რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ქვეყანაში თანასწორობის პრინციპის დამკვიდრების პროცესში.

სახალხო დამცველი, მომართვის თუ საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, შეისწავლის ვაკანსიის შესახებ არაერთ განცხადებას, რომელშიც ვლინდება დისკრიმინაციული კრიტერიუმები. ამგვარი განცხადებების სიმრავლის მიუხედავად, ვერც ერთმა მოპასუხემ ვერ დაასახელა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განცხადებებში მსგავსი კრიტერიუმების ასახვას გაამართლებდა. უახლოეს მომავალში, სახალხო დამცველი გადაწყვეტილებას მიიღებს აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი რეკომენდაცია,[16] რომელიც სახალხო დამცველმა სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის შესახებ გამოსცა, შეეხება კაცების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. კერძოდ, თბილისის ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში მხოლოდ ქალები დაიშვებოდნენ ბავშვთან თავმდგომად, რაც გამორიცხავდა მამების შესაძლებლობას, ოპერაციის შემდგომ პერიოდში, მნახველებისთვის განკუთვნილი საათების გარდა, შვილის გვერდით ყოფილიყვნენ. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის საფუძველს წარმოადგენდა არა ინდივიდუალური ქცევისგან გამოწვეული სა-

14 ზოგადი წინადადების სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2501.pdf

15 იხილეთ რეკომენდაციის სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3433.pdf

16 იხილეთ რეკომენდაციის სრული ვერსია: https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUaTI0RGhfR-19Sa2s/view?usp=sharing

შიშროება წესრიგისა და პაციენტთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, არამედ წინასწარ ჩამოყალიბებული მცდარი შეხედულება, რომ კაცი შესაძლოა ნასვამ მდგომარეობაში მისულიყო და საფრთხე შეექმნა წესრიგისთვის. მსგავსი პრაქტიკა კი კიდევ უფრო მეტად ამყარებს ნეგატიურ სტერეოტიპებს ოჯახის ცხოვრებაში კაცების მონაწილეობის შესახებ.

საგულისხმოა, რომ მართალია, საავადმყოფოში არსებული პრაქტიკა უფლებით სარგებლობისას ხელშემშლელია კაცებისთვის, თუმცა, ამის მიუხედავად, ასეთ მიდგომას არაპირდაპირი უარყოფითი ეფექტი აქვს ქალების მიმართ. ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ქალს აკისრებს შვილზე ზრუნვის ვალდებულებას, თუნდაც, მხოლოდ ბავშვის საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში.

მოპასუხისგან მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ თავმდგომად ყოფნა ორივე მშობელს თანაბრად შეუძლია, ეს კონკრეტული შემთხვევა კი განყოფილების გამგის ბრალით იყო გამოწვეული, რისთვისაც მას გაფრთხილება გამოეცხადა.

სახალხო დამცველის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალებს პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის უწევთ არჩევანის გაკეთება, გარემო კი არ უწყობს მათ ხელს, რომ ცხოვრების ორი მნიშვნელოვანი ასპექტი ერთმანეთს შეუთავსონ. ამასთან, ქალების ჩართულობა ოჯახის ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ იმ შემთხვევებშიც, როდესაც ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება კაცს ეზღუდება, აღნიშნულს ეფექტი აქვს ქალზე, რამდენადაც ასეთი მიდგომა აძლიერებს ქალსა და კაცს შორის ოჯახის საქმეების გადანაწილების შესახებ არსებულ ნეგატიურ სტერეოტიპებს და კდიევ უფრო გაუმართლებელ ტვირთს აკისრებს ქალს.

ორსულობა

როგორც თანასწორობის დეპარტამენტის პრაქტიკიდან გამოიკვეთა, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლ ცალკეულ ჯგუფს ორსული ქალები წარმოადგენს. სახალხო დამცველმა ორსულობა დამოუკიდებელ დაცულ საფუძვლად გამოყო და ამ ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ ორი რეკომენდაცია გამოსცა, რომლითაც კომპანიებს - შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოს"[17] და შპს „ახალ მზერას"[18] მიმართა, სამსახურიდან დისკრიმინაციული მოტივით გათავისუფლებული დასაქმებულები სამსახურში აღედგინა და საქმიანობა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე წარემართა.

17 იხილეთ სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-damcvelma-kerdzo-kompanias-orsulobis-nishnit-shromit-urtiertobebshi-diskriminaciis-agmofxvris-shesaxeb-mimarta.page

18 იხილეთ სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3877.pdf

აღსანიშნავია, რომ ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის ორივე შემთხვევა განხორციელდა დამსაქმებელთა მიერ, რომლებმაც, განმცხადებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, სხვადასხვა ფორმალური მიზეზით, შრომითი ურთიერთობა აღარ გააგრძელეს.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციაზე მსჯელობისას, შესადარებელი სუბიექტის არსებობა აუცილებელი არ არის, რამდენადაც, ორსულობა თავისთავად ქალის უნიკალური მდგომარეობაა, რომლის კომპარატორი არაორსული ქალი ან კაცი ვერ იქნება. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ორივე შემთხვევაში, დამსაქმებლებმა სამართლებრივად გამართული არგუმენტის საფუძველზე - შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ განმცხადებლებთან აღარ გააგრძელეს შრომითი ურთიერთობა.

სახალხო დამცველის მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებების შედეგად დადგინდა, რომ შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე უარი განპირობებული იყო დასაქმებულთა ორსულობით. ამასთან მიმართებით, სახალხო დამცველმა განმარტა საქართველოს შრომითი კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებული ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინების მომენტიდან, გარდა, მათ შორის, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლას გულისხმობს. კერძოდ, სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ ეს მუხლი არ უნდა განიმარტოს, ისე, თითქოს ვადის გასვლა ავტომატურად გამორიცხავს შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას, ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი კი განსაკუთრებით საეჭვოა იმ პირობებში და დამატებით შეფასებას საჭიროებს, როდესაც ვადის გასვლა დასაქმებულის ორსულობის პერიოდს ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედომ“ სახალხო დამცველის რეკომენდაცია სრულად გაიზიარა - განმცხადებელი აღადგინეს სამსახურში და გაუფორმეს უვადო შრომითი ხელშეკრულება, რომლის შესრულებასაც იგი დეკრეტული შვებულების გასვლის შემდეგ შეუდგება. ასევე, განმცხადებელს სრულად აუნაზღაურდა მკურნალობისთვის გაწეული ხარჯები და განაცდური ხელფასი. ამასთან, შპს „კრედოს“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, გაუქმდა განმცხადებლისთვის წერილობით გამოცხადებული გაფრთხილება.[19] აღნიშნული წარმოადგენს კერძო სექტორის მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული თანასწორობის უფლების პატივისცემის და სოციალური პასუხისმგებლობის წარმატებულ მაგალითს. მეორე შემთხვევაში, განმცხადებელმა, აღნიშნა, რომ მის მიერ სახალხო დამცველისთვის მომართვა სწორედ შპს „კრედოს“ მიმართ გამოცემულმა რეკომენდაციამ განაპირობა.

19 ინფორმაცია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/news/shps-kredom-orsulobis-nishnit-diskriminaciis-agmofxvris-shesaxeb-saxalxo-damcvelis-rekomendacia-sheasrula.page

შპს „ახალი მზერას“ მიმართ რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა ასევე იმსჯელა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესახებ. კერძოდ, სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე, წარმოიშვა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, რის შემდეგაც, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას არ ჰქონია ადგილი, გადადის მოპასუხეზე. ზოგად ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, სახალხო დამცველმა შპს „ახალ მზერას“ მიმართა, განემარტა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებდა განსხვავებულ მოპყრობას და განსხვავებული მოპყრობა ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება იქნებოდა, თუმცა მოპასუხეს არ მოუწოდებია ისეთი ინფორმაცია, რაც სახალხო დამცველისთვის განმცხადებლის მიერ არ იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, მოპასუხემ ვერ შეძლო გაექარწყლებინა დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის ვარაუდი, რომელიც სახალხო დამცველს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოეშვა. სახალხო დამცველის შპს „ახალი მზერადან“ ეცნობა, რომ ვინაიდან კლინიკის ადმინისტრაცია არ იყო ინფორმირებული განმცხადებლის ორსულობის შესახებ, მისი მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია.

როგორც აღვნიშნეთ, ორსულობის დროს გაუმართლებელი განსხვავებული მოპყრობა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სპეციფიური ფორმაა, როდესაც ქალს, თავისი ბიოლოგიური ფუნქციის განხორციელებისას, ხელი ეშლება სხვადასხვა უფლებით სარგებლობაში.

ქონებრივი მდგომარეობა

ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, თანასწორობის დეპარტამენტს წარმოებაში სულ 1 საქმე ჰქონდა, რომელზეც პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა და რეკომენდაციით ააიპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ მიმართა.[20]

საქმე ეხებოდა განსხვავებულ მოპყრობას შრომით წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში. როგორც ზემოთ იყო განხილული, დამსაქმებლების მიერ ვაკანსიის შესახებ განცხადებაში დისკრიმინაციული კრიტერიუმების დადგენა სქესზე, ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობაზე მითითებით, არ წარმოადგენს იშვიათობას, თუმცა, ერთ-ერთ კრიტერიუმად კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის მითითების მაგალითი სახალხო დამცველის პრაქტიკაში აქამდე არ ყოფილა. კერძოდ, დასაქმებისას უპირატესობა ენიჭებოდა კანდიდატს, რომლის ოჯახიც, დანარჩენი კანდიდატების ოჯახებთან შედარებით, ყველაზე ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

20 იხილეთ სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-xulos-municipalitetis-sabavshvo-bagebis-gaertianebas-qonebrivi-mdgomareobis-nishnit-diskriminaciis-agmofxvris-sakitxze.page

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეში პირველად იმსჯელა პოზიტიური ღონისძიებების შესახებ და მიუთითა, რომ ასეთი ღონისძიებების განხორციელება, რიგ შემთხვევებში, შეიძლება უთანასწორობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდეს, თუმცა, მსგავსი ზომები უნდა გატარდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტის გათვალისწინებით და არ იწვევდეს სხვათა თანასწორობის უფლების შელახვას.

წინამდებარე საქმეში, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გამოყენებული პოზიტიური ღონისძიება არ იყო პროპორციული საშუალება, რამდენადაც არ არსებობდა კანდიდატების ქონებრივი მდგომარეობის შეფასების ერთიანი კრიტერიუმი, არამედ, აღნიშნული ეფუძნებოდა სოფლის მოსახლეობისგან ზეპირი სახით მიღებულ ინფორმაციას, ასევე, იწვევდა პირთა ერთი ჯგუფის ავტომატურ გამორიცხვას.

საგულისხმოა, რომ მოპასუხე, კანდიდატებს განიხილავდა როგორც თავიანთი ოჯახების შემადგენელ ნაწილს, ვინაიდან ხდებოდა მათი ოჯახის წევრების შემოსავლის შეფასება. შესაბამისად, უგულებელყოფილი იყო ის ფაქტი, რომ დასაქმება ადამიანის ინდივიდუალური არჩევანის ერთ-ერთი გამოხატულებაა. სამუშაოს განხორციელებისას პირს ეძლევა შესაძლებლობა, მოახდინოს თვითრეალიზაცია და სანაცვლოდ ჰქონდეს საკუთარი შემოსავლის წყარო.

აღსანიშნავია, რომ ააიპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებიდან“ გვეცნობა, რომ იზიარებენ რეკომენდაციაში ასახულ შენიშვნებს და მისი აღმოფხვრის მიზნით, დისკრიმინაციის მსხვერპლს საბავშო ბაღში აღმზრდელის პოზიციაზე დასაქმებას სთავაზობენ.

გაერთიანების წევრობა

გაერთიანების წევრობა ერთადერთი „სხვა ნიშანია“, რომლის საფუძველზეც დადგინდა პირდაპირი დისკრიმინაცია საქმეზე, რომლის შესწავლაც სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო. უმაღლესი განათლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში თანასწორობის უფლების დარღვევის შესწავლის მიზნით, რეკომენდაციით სახალხო დამცველი გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დაწყებულ საპროტესტო აქციებს.

კერძოდ, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავრობას, შეიმუშავოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში მონაწილეობის უფლება მხოლოდ თვითმმართველობის წევრი სტუდენტებისთვის არ იყოს გარანტირებული.[21]

21 იხილეთ რეკომენდაციის სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-gaertianebis-wevrobis-nishnit-diskriminaciis-faqtis-dadgenis-shesaxeb.page

სახალხო დამცველმა განმარტა, რომ კანონში არსებული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის გაერთიანების უფლების ნეგატიურ ასპექტთან, რამდენადაც, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა, რომ სტუდენტი გაერთიანდეს თვითმმართველობაში, რაც წარმოადგენს იძულების ირიბ მექანიზმს და ამ გზით ზღუდავს სტუდენტის გაერთიანების უფლების ნეგატიურ ასპექტს. გაერთიანების თავისუფლების ნეგატიური ასპექტის დარღვევის შედეგად, სტუდენტები, რომლებიც არ ერთიანდებიან თვითმმართველობაში, არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან ამ გაერთიანების წევრებთან მიმართებით. ასევე ბუნდოვანია ნორმის მიზანი, რომელიც სტუდენტს, რიგი ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობისთვის, აიძულებს გაწევრიანდეს გაერთიანებაში, რომლის წევრობაც, შესაძლოა, მის თავისუფალ არჩევანს არ წარმოადგენდეს.

სახალხო დამცველს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან ეცნობა, რომ საქართველოს მთავრობა ეთანხმება სახალხო დამცველის რეკომენდაციას და ამ მიმართულებით მუშაობას დაიწყებს.[22]

ბ) ზოგადი წინადადება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახალხო დამცველი გამოსცემს ზოგად წინადადებას. აღნიშნულ გადაწყვეტილებას სახალხო დამცველი იღებს იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, როდესაც ადგილი აქვს ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ დისკრიმინაციის განსახორციელებლად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზოგადი წინადადების გამოცემის შესაძლებლობა დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმია, რამდენადაც, აღნიშნულის გამოყენება ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე არ არის კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის რომელიმე ფორმის სამართლებრივი შემადგენლობა - არ დგინდება უშუალოდ დისკრიმინაციის ფაქტი, თუმცა შექმნილი ვითარება წარმოადგენს ნეგატიური სტერეოტიპების თუ სტიგმების დამკვიდრების და გაძლიერების და მომავალში დისკრიმინაციული მოპყრობის საფრთხეს.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ორი ზოგადი წინადადება გამოსცა საჯარო უწყებების მიმართ - ერთი მათგანი შეზღუდული შესაძლებლობის,[23] ხოლო მეორე დაავადების[24] ნიშნით დისკრიმინაციის ხელშეწყობის შესახებ ფაქტს შეეხებოდა.

22 http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-rekomendacia-gaitvaliswines.page

23 ზოგადი წინადადების სრული ვერსია იხილეთ: https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUSFRGMC1vYmRWdVE/view?pref=2&pli=1

24 იხილეთ სრული ვერსია: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/zogadi-winadadeba-diskriminaciis-tavidan-acilebisa-da-mis-winaagmdeg-brdzolis-sakitxze.page

დისკრიმინაციის ხელშეწყობის ერთ-ერთი შემთხვევა მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლის მხრიდან აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მიმართ სტერეოტიპულ და აგრესიულ დამოკიდებულებაში გამოიხატა. აღნიშნულ საქმეში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი მშობლები ყოველდღიურად აწყდებიან წინააღმდეგობებს, რაც მათ ფსიქოლოგიურ თუ ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. საზოგადოების მხრიდან გამოხატული ნეგატიური განწყობის ფონზე, მშობელი ცდილობს, შვილს სტრესი თავიდან აარიდოს, რის შედეგადაც, ბავშვი საზოგადოებისგან იზოლირებული ხდება. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა კი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას განაპირობებს.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან“ სახალხო დამცველს ეცნობა, რომ კომპანია“ მზად არის მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებაში შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და სტიგმებისაგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბებაში და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. ასევე, კომპანიამ მხარდაჭერა გამოუცხადა სახალხო დამცველის ინიციატივას, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების შესახებ საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარების შესახებ.

მეორე ზოგადი წინადადება შეეხება VIII კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელოში ასახულ მცდარ ინფორმაციას შიდსის და აივ ინფექციის მქონე და წამალდამოკიდებული ადამიანების შესახებ. სახელმძღვანელოს მეშვეობით მოწოდებული ინფორმაცია არ არის საფუძვლიანად გამოკვლეული და, ძირითადად, ეფუძნება საზოგადოებაში გავრცელებულ არასწორ ფაქტებს - წამალდამოკიდებული ადამიანი მოხსენიებულია როგორც „ნარკომანი“ და აღქმულია, როგორც საზოგადოებისთვის საშიში პიროვნება, ასევე, ერთმანეთთან არის გაიგივებული აივ ინფექცია და შიდსი და მცდარი ინფორმაციაა მოწოდებული მათი გავრცელებისა და აღნიშნულ დაავადებებთან ბრძოლის შესახებ.

გარდა იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული დაავადებების შესახებ საზოგადოებაში სტერეოტიპული ინფორმაციის გავრცელება ზოგადად პრობლემურია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ინფორმაცია არ იყოს ასახული სასკოლო წიგნებში, რომელსაც ბავშვები ეცნობიან. აღნიშნული ხელს უწყობს, რომ ბავშვს კონკრეტულ საკითხზე შეექმნას ისეთ წარმოდგენა, რამაც შეიძლება წაახალისოს კონკრეტული ჯგუფების მარგინალიზაცია და ხელი შეუწყოს სტერეოტიპული აზროვნების განვითარებას სკოლის ასაკიდანვე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროდან სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ გრიფირების შემდეგ ეტაპზე სახალხო დამცველის რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ.

საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევებში, დისკრიმინაციული მოპყრობა გამოწვეულია არა დისკრიმინაციის ჩამდენის განზრახი, მოტივირებული ქმედებით, არამედ იმ ნეგატიური სტერეოტიპების და ძლიერი სტიგმების გავლენით, რომელიც საზოგადოებაში მყარად არის დამკვიდრებული. ასეთი მიდგომა, როგორც წესი, გამოწვეულია კონკრეტული ჯგუფების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით და მცდარი აღქმით, რომ მათგან შესაძლოა რაიმე სახის საფრთხე მომდინარეობდეს. დისკრიმინაციის ხელშეწყობის თუ წახალისების ერთი ფაქტი შესაძლოა გახდეს დისკრიმინაციული მოპყრობის მრავალი შემთხვევის საფუძველი. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მიეწოდოს დაუცველი ჯგუფების უფლებების შესახებ და მაქსიმალურად გათავისუფლდეს წინასწარ ჩამოყალიბებული ნეგატიური შეხედულებებისგან. სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან შედარებით, არანაკლები ეფექტი ექნება ქვეყანაში დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ხანგრძლივი პროცესია და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან ფუნდამენტურ მუშაობას საჭიროებს.

6. სახალხო დამცველი, როგორც სასამართლოს მეგობარი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს შეუძლია შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას წარადგენს მოსარჩელის მომართვის ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე. ანტიდისკრიმინაციული კანონი სიახლეს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობაში და სასამართლოების პრაქტიკა, ამ მიმართულებით, განვითარების პროცესშია. შესაბამისად, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში, რამდენადაც, სახალხო დამცველს თუ სხვა კომპეტენტურ პირს შესაძლებლობა ეძლევა საქმის განმხილველ სასამართლოს მიაწოდოს საერთაშორისო თუ ადგილობრივი ინსტიტუტების მიერ დადგენილი სამართლებრივი სტანდარტების შესახებ კვლევა.

სახალხო დამცველი საკითხის მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით იღებს გად-

აწყვეტილებას წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას, არამედ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

ამჟამად, სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სახალხო დამცველის მიერ სასამართლოს მეგობრის წარდგენის კრიტერიუმებს.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე საერთო სასამართლოებში 6 სასამართლოს მეგობარის მოსაზრება წარადგინა - 4 ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, 2 კი - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას. წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები ეხება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე განსჯარობის საკითხს (1), რელიგიის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციას (2), პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციას (2) და სქესის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს (1). აღსანიშნავია, რომ საქმეთა უმრავლესობა შეეხებოდა სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობას წინასახელშეკრულებო და შრომით ურთიერთობებში.

სასამართლოს მიერ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა დღემდე პრობლემად რჩება. კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე არის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსახილველი, ეს უკანასკნელი განიხილავს საქმის ადმინისტრაციულსამართლებრივ მხარეს, სარჩელის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მოთხოვნის ნაწილს კი განსახილველად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უგზავნის.

საქმე, რომელზეც სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება[25] წარადგინა, ეხებოდა მოსარჩელის ადმინისტრაციული ორგანოდან გათავისუფლებას სავარაუდო პოლიტიკური დისკრიმინაციული მოტივით და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის საკითხი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. აღნიშნული ორი საკითხის ხელოვნური გახლეჩა გამოიწვევდა, იმას რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მაინც მოუწევდა ემსჯელა სამსახურიდან გათავისუფლებაზე, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოადგენდა სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას. თუკი

25 იხილეთ სრული ვერსია: https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUQTFFbkRtanktekE/view?pref=2&pli=1

დადასტურდებოდა, რომ პოლიტიკური მოტივი იყო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, სახეზე იქნებოდა დისკრიმინაცია სამსახურიდან გათავისუფლების დროს და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან დისკრიმინაციული მოტივით გამოტანილი აქტი ვერ ჩაითვლება კანონიერ აქტად. შესაბამისად, შეუძლებელი იყო აქტის კანონიერებისა და დისკრიმინაციიის შეფასება განცალკევებით, მაშინ, როდესაც სწორედ სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივი არის უკანონობის მთავარი საფუძველი.

იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მიერ საქმის განხილვის შემდეგ დაადასტურებდა, რომ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი, მას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3] მუხლით დადგენილი ნორმები და უნდა გადაეწყვიტა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხიც.

სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ისეთი ჩანაწერის არსებობა, რომელიც არ გვხვდება ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში, არ წარმოადგენს განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს და ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეს აქვს თავისუფლება, გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები. ვინაიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის სპეციფიკას არ არეგულირებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების დროს ადმინისტრაციული კოლეგიას უნდა იყენებდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] თავს. აღნიშნული საქმის განსჯადობის საკითხს ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს.

ამას გარდა, სახალხო დამცველმა ორი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა რელიგიის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით რუსთავის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველს ყველაზე მეტი - ოთხი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სწორედ რელიგიის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეებზე აქვს წარდგენილი.[26]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე შეეხებოდა ლათინ კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელთა მოთხოვნას ქ. რუსთავის მერიის მიერ რელიგიური დანიშნულების ნაგებობის (საკულტო ნაგებობა) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, რომლის აშენებას მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გეგმავენ.

აღნიშნულ საქმეში, ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, საინტერესო იყო ის ზოგადი კონტექსტი, რომლის ფონზეც

26 წინა საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში. სრული ვერსიები იხილეთ შესაბამისად: https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUaFRva1h3bFVWa28/view; https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUWVVXZHhFSWkxRjQ/view

რელიგიურ გაერთიანებას საკულტო ნაგებობის მშენებლობაში ხელი ეშლებოდა - მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მშენებლობის გასაცემად საჭირო ადმინისტრაციული წარმოების ეტაპები გადალახული ჰქონდა, რაც, ასევე დასტურდებოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა, მოსარჩელის არაერთი მიმართვის მიუხედავად, ნებართვა მასზე არ გაიცემოდა. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის ინფორმირება არც სავარაუდოდ კანონდარღვევით ჩატარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ მომხდარა.

ამასთან, ზეპირ ადმინისტრაციულ სხდომას, რომელიც აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით ჩატარდა, სხვებთან ერთად ესწრებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილობრივი წამომადგენლების ჯგუფი. მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები, ასევე საკრებულოს დეპუტატები სხდომაზე აღნიშნავდნენ, რომ არ დაუშვებდნენ რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის აშენებას. დომინანტი რელიგიის წარმომადგენლები სხდომაზე ასევე ავრცელებდნენ ბუკლეტებს, რომელიც მიზნად კათოლიკური ეკლესიის დისკრედიტაციას ისახავდა. ამასთან, საკრებულოს დეპუტატები მოსარჩელის ადვოკატის მისამართით აცხადებდნენ, რომ ვინაიდან ის მართლმადიდებელი იყო, დაუშვებელი იყო მის მიერ კათოლიკური ეკლესიის ინტერესების დაცვა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსარჩელეს ასევე შესთავაზეს ალტერნატიული მიწის ნაკვეთი, რომელიც ქ. რუსთავის გარეუბანში მდებარეობს, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა.

განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილება რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 6 ივნისს მიიღო, რომლის თანახმად, სარჩელი დაკმაყოფილდა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საკულტო ნაგებობის მშენებლობაზე სანებართვო მოწმობის გაცემა. ამასთან, სასამართლომ იმსჯელა პირდაპირი დისკრიმინაციის ტესტის შესახებ და მიიჩნია, რომ საკულტო ნაგებობის მშენებლობის სანებართვო მოწმობა რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციული მოტივით არ გაიცა.

განხილული შემთხვევა წარმოადგენს დომინანტური რელიგიური ჯგუფის ზეგავლენით უმცირესობის ინტერესების ხელყოფის მაგალითს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევები ცდება ადმინისტრაციული წარმოების ფორმალურ მხარეს და, კონფლიქტის მოგვარების მიზნით, სახელმწიფოს აქტიურ ჩართულობას საჭიროებს. სახელმწიფომ, ნეიტრალიტეტის და პლურალიზმის პრინციპების დაცვით, უნდა უზრუნველყოს რელიგიური ჯგუფების ინტერესების დაბალანსება, ისე, რომ ერთის გავლენით, არ მოხდეს მეორეს არახელსაყრელ მდომარეობაში ჩაყენება. ამის საპირისპიროდ, მსგავსი შემთხვევები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო პასიურ როლს ითავსებს - თავს არიდებს პრობლემატური საკითხების განხილვას და ცდილობს, ერთი ჯგუფის ინტერესი დააკმაყოფილოს მხოლოდ იმგვარად, რომ დომინანტი ჯგუფის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს. ამ პროცესში სახელმწიფო არ იკვლევს კონფლიქტის გამომწვევ

მიზეზს და არ აქვს არბიტრის როლი, რომელიც მხარეებთან უშუალო კომუნიკაციით შეეცდებოდა პრობლემის აღმოფხვრას.

როგორც აღვნიშნეთ, წინასახელშეკრულებო და შრომით ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები განსაკუთრებით ხშირია. ამ სფეროში განსხვავებულ მოპყრობას ადამიანები სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე აწყდებიან. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი კიდევ 5 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სწორედ წინასახელშეკრულებო და შრომით დავებს უკავშირდება.

ორი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, რომელიც სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა, პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციული საფუძვლით სს „საქართველოს რკინიგზიდან" მოსარჩელეების გათავისუფლებას შეეხებოდა. ამათგან ერთ საქმეზე სასამართლოს დისკრიმინაციის შესახებ არ უმსჯელია, მეორე საქმესთან დაკავშირებით კი მოსამზადებელი სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა.

რელიგიის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის მეორე საქმე, რომელთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება[27] წარადგინა, ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლის წარმომადგენლის პოზიციაზე კანდიდატის შერჩევისას მუსულმანი პირის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციას. განსახილველ საქმეში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მისი კანდიდატურის შერჩევაზე უარი განპირობებული იყო მისი აქტივობით, როდესაც საპროტესტო აქციაზე მან მუსულმანი თემის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა. საქმე ამჟამად სასამართლო განხილვის ეტაპზეა.

კიდევ ერთი სასამართლოს მოსაზრება[28] იქნა წარდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომლის თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ერთ–ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისას მოსარჩელე სქესის ნიშნით დისკრიმინაცის დაექვემდებარა. სარჩელში მითითებული იყო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, თავის ჩვენებაში კომისიის ერთ–ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ შესასრულებელი საქმის სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობა უფრო მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნია. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

განხილული ორი შემთხვევა საინტერესო იყო, მათ შორის, რამდენადაც სახალხო დამცველს შესაძლებლობა მიეცა ემსჯელა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების და თანასწორობის უფლების ურთ-

27 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3716.pdf
28 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3595.pdf

იერთდამოკიდებულებაზე. ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიებს ჰქონდათ დისკრეციული უფლებამოსილება, შეეფასებინათ კონკურსანტთა შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან, თუმცა, ეს კომისიას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილების მოტივაცია. თუ მივიჩნევთ, რომ შეუძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, სასამართლოს, როგორც უმნიშვნელოვანესი უფლებადაცვითი მექანიზმის ფუნქცია აზრს დაკარგავს და ჩამოყალიბდება რეალობა, როდესაც საკონკურსო–საატესტაციო კომისიის მიერ თავისი დისკრეციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება ვერ გახდება სასამართლოს რეალური მსჯელობის საგანი და დარჩება მის კონტროლს მიღმა. აქედან გამომდინარე, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას, თანასწორუფლებიანობის დარღვევის საპირწონე არგუმენტად ვერ განიხილება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება თავის თავში მოიაზრებს დისკრიმინაციული მოტივებისგან სრულიად თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული დისკრეციული გადაწყვეტილება არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობასთან, მათ შორის, თანასწორობის უფლებასთან.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სახალხო დამცველისთვის დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით, სახალხო დამცველის მიზანს საქმის განმხილველი სასამართლოს საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესახებ კვლევით უზრუნველყოფა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლოს პრაქტიკის განვითარება წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ მიერ წარდგენილ დოკუმენტს მოსამართლეები ყოველთვის არ მოიხსენიებენ გადაწყვეტილებაში, ვგულისხმობთ, იმ სამართლებრივი სტანდარტების ასახვას, რაც დისკრიმინაციის საქმის განხილვისას არის რელევანტური, სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ დროთა განმავლობაში, სახალხო დამცველის თუ სხვა კომპეტენტური პირების მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სასამართლოებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამხმარე ინსტრუმენტად იქცევა.

თავი III. გამოკვეთილი ტენდენციები

დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა შეაგროვა ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით, რომელთაგან 2 საკითხს - სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების და საერთო სასამართლოებისადმი მიმართვიანობის საკითხს ქვემოთ შევეხებით.

როგორც სახალხო დამცველის პრაქტიკიდან ირკვევა, ძირითად შემთხვევებში, გამოძიების პროცესში სავარაუდო სიძულვილის მოტივის გათვალისწინება არ ხდება, რის შედეგადაც, მათ შორის, უგულებელყოფილია დანაშაულის პრევენციის მიზანი.

ამასთან, სახალხო დამცველმა საქალაქო და რაიონული სასამართლოებიდან გამოითხოვა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სარჩელები და სასამართლოს გადაწყვეტილებები. მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ სასამართლოების მიერ განხილული საქმეების ძირითად ნაწილში სახალხო დამცველი ჩართული იყო როგორც სასამართლოს მეგობარი ან სასამართლოსთვის მიმართვამდე გამოცემული ჰქონდა რეკომენდაცია.

1. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ნაწილი ეხება სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს, რომელიც შეიცავს სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს. მსგავსი საქმეების შესწავლისას, სახალხო დამცველს შედარებით პასიური როლის აქვს და აკვირდება საგამოძიებო ორგანოების მიერ წარმართული გამოძიების ეფექტიანობას.

2016 წლის 17 აგვისტოს საქართველოს პროკურატურასა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისს (ODIHR) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს პროკურატურაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პროკურორთა ტრენინგის ე.წ. PAHCT-ის (Prosecutors and Hate Crimes Training) პროგრამის დანერგვის მიზნით. აღნიშნული პროგრამის სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი სახალხო დამცველის წარმომადგენელია. სამუშაო ჯგუფის ფუნქციას ტრენინგის მასალებისა და სასწავლო პროგრამის შემუშავება და ადგილობრივი საჭიროებების და გამოწვევების გათვალისწინებით სასწავლო მოდულის მოდიფიცირება წარმოადგენს.

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პროკურატურის წამოწყებას და მიიჩნევს, რომ, არსებული ვითარების გათვალისწინებით, პროკურორებისთვის მსგავსი ტრენინგების უზრუნველყოფა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანად გამოძიების მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია.

თუმცა, სასწავლო მასალების შემუშავებასა და ტრენინგებთან ერთად, აუცილებელია, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პროკურატურამ გაავრცელოს ის მიდგომა, რომელიც ზოგადად დანაშაულის მოტივის გამოკვეთის მიზნით გამოიყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დისკრიმინაციული მოტივი ერთმნიშვნელოვანია. **სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის პრევენცია და გამოძიება ერთ-ერთ მწვავე გამოწვევას წარმოადგენს.** სახალხო დამცველის მიერ, როგორც ინდივიდების მომართვის, ასევე საკუთარი ინიციატივით შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე იკვეთება სავარაუდო დანაშაულების ნიშნები, რომელიც ჩადენილია რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის თუ სხვა საფუძვლით სიძულვილის ნიადაგზე.

2016 წლის 19 ივლისს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2014 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი და დასრულებული გამოძიების შესახებ, რომელთაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს სიძულვილის/დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 3 აგვისტოს წერილით საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ *საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე. რეკომენდაცია ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა კლასიფიკაცია, გამოძიების მიმდინარეობა და მტკიცებულებათა მოპოვება, აგრეთვე შესაბამისი სტატისტიკის შეგროვება. აღნიშნული დოკუმენტი პროკურატურის სისტემაში გავრცელდა 2016 წლის 2 იანვარს, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიებისას სიძულვილის მოტივის გამოკვეთის კუთხით აღნიშნულ თარიღამდე საქართველოს მთავარ პროკურატურას რაიმე სტატისტიკური ინფორმაცია არ მოეპოვება.*

რაც შეეხება რეკომენდაციის გავრცელების შემდგომ პერიოდს, დღეის მდგომარეობით 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილით გათვალისწინებულ სიძულვილის ერთ-ერთ მოტივზე ნამსჯელია სისხლის სამართლის 6 საქმის ფარგლებში (4 შემთხვევაში - სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 2 შემთხვევაში - რელიგიუ-

რი შეუწყნარებლობის ნიშნით). აღნიშნული საქმეებიდან 4 შემთხვევაში ხუთი პირის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და არც ერთ შემთხვევაში ნორმით გათვალისწინებული სანქციის მინიმალური ზომა არ ყოფილა გამოყენებული.

გარდა ამისა, ერთ საქმეზე, მიუხედავად სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა, მითითებული მოტივის არსებობა არ გამოიკვეთა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდება.

რაც შეეხება 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის აგვისტომდე არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე, 142[1], და 142[2] მუხლების საფუძველზე დაწყებულ გამოძიებებთან დაკავშირებით, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

მუხლი 142[1] (რასობრივი დისკრიმინაცია) - სისხლის სამართლის 2 საქმე. ერთ საქმეზე გრძელდება გამოძიება, ხოლო მეორე საქმე არსებითად იხილება სასამართლოში.

მუხლი 142 (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) - სისხლის სამართლის 1 საქმე. გამოძიება გრძელდება.

მუხლი 142[2] (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა) - სისხლის სამართლის 1 საქმე, რომელზეც გამოძიება შეწყდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველის ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების საკითხში გამოთქმული თანამშრომლობის სურვილს, თუმცა, სამწუხაროდ ხაზი უნდა გაესვას, იმ ფაქტს, რომ, საქართველოს მთავარი პროკურატურა 2016 წლის 22 იანვრამდე არ ახდენდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, მით უმეტეს იმ პირობებში, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლს 2012 წლის 27 მარტიდან დაემატა მე-3[1] ნაწილი[29], რომლის მიხედვითაც - *დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.*

სახალხო დამცველის წარმოებაში მსგავსი კატეგორიის არაერთი საქმეა.

29 საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 41(48) იხ. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1637963#

საქმე N2486/15

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ამხანაგობის „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“ ადვოკატის - მ. ც. - ს 2015 წლის 2 მარტის განცხადებას.

განცხადების თანახმად, ლ. შ. და გ. შ. არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეთა“ მიმდევრები, რომლებიც არასრულწლოვან შვილებთან ერთად ა. -ს მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ. განმცხადებელი განმარტავს, რომ ოჯახი მეზობლად მცხოვრები ზ. ზ. - სგან განიცდის სისტემატურ შეურაცხყოფას, ლანძღვას, მუქარას და ცილისწამებას მათი რელიგიური კუთვნილების გამო. განცხადებაში ასევე მითითებულია ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ზ. ზ. იეჰოვას მოწმეებს შეურაცხყოფას აყენებდა საპატრულო პოლიციის თანამშრომლების თანდასწრებით, რომელიც ადგილზე ოჯახმა გამოიძახა.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მ. ც. -მ საქართველოს მთავარ პროკურატურას მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირების განხორციელების თხოვნით 2015 წლის 26 თებერვლის მიმართა.

განმცხადებელი ასევე მიუთითებს იეჰოვას მოწმეების მიმართ პროკურატურისა და პოლიციის მხრიდან განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებებზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა პროკურატურას ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით.

სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საპასუხოდ გვეცნობა, რომ *მ. ც. -ს 2015 წლის 26 თებერვლის განცხადების საფუძველზე, რომ 2015 წლის 2 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ა -ს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება გ. შ და ლ. შ. -ს მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, საქართველოს სისსლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ზ. ზ. -ს მიერ გ. შ.-ს და ლ. შ.-ს ცემის ან სხვაგვარი ძალადობის ჩადენის ფაქტი. 2015 წლის 16 მარტს კი საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.*

2016 წლის 19 ივლისს სახალხო დამცველმა დამატებით მიმართა საქართველოს პროკურატურას იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების შესახებ და მოითხოვა ინფორმაცია თუ, რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე 2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე; რამდენ ასეთ საქმეზე დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა და რამდენ საქმეზე გამოვლინდა სიძულვილის მოტივი; ასევე, რამდენი საქმე გადაეცა სასამართლოს და რამდენზე შეწყდა გამოძიება.

2016 წლის 3 აგვისტოს საქართველოს პროკურატურისგან მივიღეთ პასუხი, რომლითაც გვეცნობა, რომ *2015 წელს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 22 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნულიდან 20 საქმე შეეხებოდა იეჰოვას მოწმეების მიმართ რელიგიური მოტივით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებს. 5 საქმეზე დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა 5 პირის მიმართ. ხუთივე ბრალდებულის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. სიძულვილის მოტივი არც ერთ შემთხვევაში არ გამოკვეთილა. გარდა აღნიშნულისა, ზემოხსენებული 20 საქმიდან 9 შემთხვევაში საქმეებზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.*

საქართველოს პროკურატურის პასუხში ასევე მითითებულია, რომ *2016 წლის 7 თვის მონაცემებით, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პროკურატურაში გამოძიება დაიწყო 14 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნულიდან 11 საქმე შეეხებოდა იეჰოვას მოწმეების მიმართ რელიგიური მოტივით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებს. 6 საქმეზე დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა 7 პირის მიმართ. პროკურატურის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 3 სისხლის სამართლის საქმეზე, ჯამში 4 პირის მიმართ. მითითებული 11 საქმიდან, 2 საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.*

რაც შეეხება ზემოხსენებულ საქმეებზე სიძულვილის მოტივის გამოკვეთას, პროკურატურის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებულ რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე, ნამსჯელია 2 საქმის ფარგლებში.

საქმე N 7319/16

სახალხო დამცველი სწავლობს მ. ქ.-ს 2016 წლის 9 ივნისის განცხადებას.

განცხადების თანახად, მ. ქ. -ს დაცვის ქვეშ მყოფი პირები, გ. კ. და ლ. კ., რომლებიც არიან იეჰოვას მოწმეები, ქ. -ის რაიონში რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ. განმცხადებლის მტკიცებით, 2016 წლის 29 აპრილს ავტომანქანით მიმავალი ბ. ბ. დიდი სისწრაფით შეეჯახა მოტოციკლით მოძრავ გ. კ-სა და ლ. კ-ს, რომლებიც არიან იეჰოვას მოწმეები. შეჯახების შედეგად ლ. კ-მ დაკარგა ქვედა კიდური, ხოლო მისმა მამამ, გ. კ-მ, მძიმე დაზიანებები მიიღო. მოწმის განმარტებით, მისი მისვლისას ბ. ბ. გონებადაკარგულ მამა-შვილს უყურებდა, თუმცა მათ დასახმარებლად არაფერი

გაუკეთებია. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული მოწმე საგამოძიებო ორგანოებს აქამდე არ გამოუკითხავთ. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ ბ. ბ. ინციდენტამდე ხშირად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას იეჰოვას მოწმეებს რასაც ადასტურებენ მოწმეები.

განცხადებაში ასევე დასახელებულია ქ.-ს რაიონში მომხდარი სხვა ფაქტები, კერძოდ, 2015 წელს ადგილობრივმა სასულიერო პირმა არაერთხელ ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ. კერძოდ, განცხადების თანახმად, 2015 წლის 28 მაისს სასულიერო პირი სამარშრუტო ტაქსით ორჯერ დაეჯახა იეჰოვას მოწმეების ლიტერატურის სტენდს, ამის შემდეგ გადმოვიდა მანქანიდან, ძირს დაყრილ ლიტერატურას დაასხა ბენზინი და დააპირა მათი დაწვა. განცხადების თანახმად, მან იეჰოვას ორ მოწმეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. 2015 წლის 8 მაისის ეპიზოდს აღწერს, იეჰოვას მოწმე - ნ. პ., რომლის მტკიცებით, იგივე სასულიერო პირმა მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა რელიგიური მსახურების დროს.

2016 წლის 22 ივნისს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აცნობა, რომ *2015 წლის 8 და 28 მაისის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქარელის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელებულ დევნის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიური, ქიმიური ექსპერტიზები, ამ ეტაპზე მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის და გამოძიება გრძელდება.*

საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილის თანახმად, *2016 წლის 29 აპრილს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.-ის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და გამოძიება გრძელდება. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, დაზარალებულები ლ. კ. და გ. კ., დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო, ქიმიური, ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზები. აგრეთვე ავტომობილის მძღოლის - ბ. ბ. -ს ქმედებაში შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით დაიკითხნენ მოწმეები, რომელთაც აღნიშნეს, რომ ბ. ბ. არის უკონფლიქტო და გაწონასწორებული პიროვნება და მას წარსულში იეჰოვას მოწმეებთან ან სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან არასოდეს ჰქონია კონფლიქტი.*

საქმე N9385/15

სახალხო დამცველი სწავლობს მ. ც. -ს 2015 წლის 15 აგვისტოს განცხადებას.

მ. ც. -მ სახალხო დამცველს მომართა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების, მ. ღ.-ს და ლ. ზ. -ს მიმართ რელიგიური სიძულვილის მოტივით შეურაცხყოფის მიყენებისა და რელიგიური დანიშნულების სტენდის დამტვრევის ფაქტთან დაკავშირებით. განმცხადებლის განმარტებით, ზემოთხსენებული პირების არიან იეჰოვას მოწმეები. 2015 წლის 10 აგვისტოს, ქ. თბილისში ისინი რელიგიურ მსახურებას ეწეოდნენ და იყენებდნენ სპეციალურ სტენდს, რომელიც უცნობმა მამაკაცმა დაამტვრია ფეხით და ქალებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მ. ღ. და ლ. ზ. დაკითხვისთვის გადაიყვანეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, სადაც გამომძიებელი დასაკითხ პირებს მიზანმიმართულად აიძულებდა, ფაქტის აღწერისას რელიგიური სიძულვილის ნაცვლად დაეფიქსირებინათ პირადი შეურაცხყოფის მოტივი.

საქმის წარმოების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს აღნიშნულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით; ამასთანავე, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება სავარაუდო დისკრიმინაციული/სიძულვილის მოტივის დადგენის მიმართულებით, იქნა თუ არა აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულად ან დაზარალებულად ცნობილი კონკრეტული პირი; აგრეთვე, გამოთხოვილ იქნა ბრალდებისა და დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების ასლები.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, *2015 წლის 10 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში დაიწყო გამოძიება იეჰოვას მოწმეთა კუთვნილი საინფორმაციო სტენდის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოიკითხნენ ინციდენტის მონაწილე პირები, ამასთან, დაზიანებულ სტენდზე დაინიშნა სასაქონლო ექსპერტიზა. საქმეზე არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად, 2015 წლის 15 სექტემბერს აღნიშულ საქმეზე გამოძიება შეწყდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი პირი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 3 დღის ვადით.*

საქმე N9126/16

სახალხო დამცველი სწავლობს ამხანაგობის „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“ წარმომადგენლის, ზ. ც. -ს 2016 წლის 15 ივლისის განცხადებას.

განცხადების თანახმად, მოქალაქე ზ. ც. აქტიურად ეწევა იეჰოვას მოწმეების დისკრედიტაციას. აღნიშნული პიროვნება აკეთებს იეჰოვას მოწმეებთან საუბრის ფარულ ჩანაწერებს, რომელიც შემდგომ თავსდება ვებ-გვერდზე www.youtube.com. განცხადებაში ასევე დასახელებულია ის პირები, რომლეთა ფარული ჩანაწერები განთავსებულია ინტერნეტში.

განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ ზ. ც. მომხრეებთან ერთად ყოველ კვირას მიდის იეჰოვას მოწმეების საკონგრესო დარბაზის შესასვლელთან დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი პლაკატებით ხელში, აფერხებს მანქანების გადაადგილებას დარბაზის ეზოში და ახორციელებს სხვადასხვა სახის პროვოკაციას, სიტუაციის დაძაბვის მიზნით. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედებები მიზნად ისახავს რელიგიური შუღლისა და სიძულვილის გაღვივებას.

სახალხო დამცველმა საქართველო პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება სავარაუდო დისკრიმინაციული/სიძულვილის მოტივის დადგენის მიმართულებით და თუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა საქმეზე. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-**8** განყოფილებამ შეისწავლა ზემოაღნიშნული საქმე. ადვოკატის თანდასწრებით გამოიკითხნენ იეჰოვას მოწმეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მოქალაქე ზ. ც. მათი თანხმობის გარეშე აკეთებდა საუბრის ჩანაწერებს. ამასთან, თავად ზ. ც. გასაუბრების ოქმში აღიარებს, რომ იგი ზოგჯერ აშკარად, ზოგ შემთხვევაში კი ფარულად, ახდენდა იეჰოვას მოწმეებთან საუბრის ჩაწერას. ზ. ც. უარს აცხადებს აღნიშნული ჩანაწერების ვებ-გვერდ www.youtube.com-დან წაშლაზე.*

განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მან ასევე მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რომელმაც აღნიშნა, რომ კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს და მის ჩამდენ პირს ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, შესაბამისად, კერძო საუბრებისა და ინტერნეტში უკანონოდ განთავსების ფაქტებზე რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციას წარმოადგენს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ იკავებენ თავს სამართალდამცავი ორგანოები სისხლის სამართლის საქმის აღძვრისაგან, განსაკუთრებით იმ მოტივზე მითითებით, რომ საქმეში დანაშაულის ნიშნები არ გამოიკვეთა. განმცხადებელ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას, რაც დასტურდება იეჰოვას

მოწმეთა და თავად ზ. ც.-ს გასაუბრების ოქმებით. პროკურატურის მხრიდან გამოძიების დაწყებაზე უარყოფითი გადაწყვეტილება კი მიუთითებს იმაზე, რომ ჯეროვნად არ გამოიკვლიეს მიწოდებული ფაქტები და მტკიცებულებები.

განმცხადებელი ორგანიზაციის არგუმენტაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარ პროკურატურას პოზიცია ამ ეტაპზე არ დაუფიქსირებია.

საქმე N 10922/16

სახალხო დამცველი სწავლობს ორგანიზაციის „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“ წარმომადგენლის, მ. ქ. -ს 2016 წლის 24 აგვისტოს განცხადებას.

განცხადების თანახმად, ქალაქ ხ.- ში მდებარე იეჰოვას მოწმეების „სამეფო დარბაზს“ ფარულად ესვრიან ქვებს, მრავალჯერ ჩაუმტვრიეს შუშები და გარე კედლის ფასადზე არსებული მოსაპირკეთებელი საშუალება. აღნიშნული ქმედებების გამო დამდგარი მატერიალური ზიანი კი საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს. ამას გარდა, ფერხდება ღვთისმსახურება, ვინაიდან იეჰოვას მოწმეები, რომლებიც „სამეფო დარბაზში“ იკრიბებიან, ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ.

აღნიშნულ „სამეფო დარბაზზე“ თავდასხმები, 2014 წლიდან დღემდე, შვიდჯერ განხორციელდა. 2016 წლის 25 მაისს „სამეფო დარბაზზე“ მომხდარი თავდასხმაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხ. -ს რაიონულმა განყოფილებამ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის (ნივთის დაზიანება ან განადგურება) საფუძველზე, თუმცა იმის გამო რომ ექსპერტის შეფასებით ზიანი 150 ლარზე ნაკლებს შეადგენდა, 2016 წლის 30 ივნისს გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. 2016 წლის 10 აგვისტოს, თავდასხმა განმეორდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ თავდასხმის მოტივს რელიგიური სიძულვილი წარმოადგენს, შესაბამისად, შესაძლოა პირმა რელიგიური სიძულვილის გამო რეგულარულად დააზიანოს რომელიმე რელიგიური დანიშნულების ადგილი, ზიანის ოდენობამ კი არც ერთ შემთხვევაში არ შეადგინოს 150 ლარი. იმის გამო, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა არაერთხელ შეწყვიტეს გამოძიება მიყენებული ზიანის სიმცირის გამო, „სამეფო დარბაზზე“ განხორციელებულმა თავდასხმებმა რეგულარული ხასიათი მიიღო.

განმცხადებელს მიაჩნია, რომ როდესაც ხდება ღვთისმსახურების ადგილის დაზიანება, მითუმეტეს ისეთი რელიგიური ჯგუფის მიმართ, რომელიც არაერთხელ ხდება რელიგიური დევნის ობიექტი, მთავარ დასაცავ სიკეთეს წარმოადგენს არა საკუთრების უფლება, არამედ რელიგიის თავისუფლება. შესაბამისად, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მართებული იქნებოდა, გამოძიება დაწყებულიყო არა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების, არამედ 156-ე მუხლით (დევნა) გათვალისწინებული და-

ნაშაულის ნიშნების საფუძველზე, რომელიც შეეხება ადამიანის დევნას რწმენის ან მრწამსის გამო და წარმოადგენს უფრო სპეციალური ნორმას.

საქმე N6933/16

საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს ნ. ა. - ს 2016 წლის 1 ივნისის განცხადებას.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ის და თავისი ოჯახის რვა წევრი არიან ერაყის მოქალაქეები, 2 წელია, რაც საქართველოში ცხოვრობენ და ფლობენ ბინადრობის მოწმობას.

განმცხადებლის მითითებით, მისმა ოჯახმა ორი წლის წინ შეიძინა საკუთარი სახლი თბილისში, ხოლო 6 თვის წინ დაიწყეს სახლის ღობის მშენებლობა. ყველა საჭირო დოკუმენტაციის არსებობის მიუხედავად, მეზობლები არ აძლევენ ღობის აშენების შესაძლებლობას. ღობის აშენების დაწყების დღიდან მეზობლები დევნიან და ავიწროვებენ მის ოჯახს. ასევე, აიძულებენ სახლის გაყიდვას და ეუბნებიან, რომ ერაყელების ადგილი საქართველოში არ არის. განმცხადებელი განმარტავს, რომ 2016 წლის 31 მაისს, 50-მდე პირი შეიჭრა მათ სახლში და უყვიროდნენ, დაეტოვებინათ საქართველო, დაუმტვრიეს ნივთები და სცემეს მისი ორი არასრულწლოვან შვილს, მისმა სიძემ კი ფიზიკური დაპირისპირებისას ფეხი მოიტეხა.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არ ახდენენ სათანადო რეაგირებას. განმცხადებელი, ასევე, აღნიშნავს, რომ მეზობლების მხრიდან ხდება მათი დევნა იმის გამო, რომ ისინი ერაყელები არიან.

საქართველოს პროკურატურამ წერილით გვაცნობა, რომ *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში, 2016 წლის 31 მაისს დარეგისტრირდა 4 განსხვავებული შინაარსის შეტყობინება, რომელიც შეეხებოდა სექსუალური ძალადობის ფაქტს და სამეზობლო კონფლიქტს. გასაუბრების შედეგად დადგინდა, განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები მეზობლებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ და ეზოში დადიან ტანისამოსის გარეშე. 2016 წლის 30 მაისს, აღნიშნული საცხოვრებელი სახლის ეზოში საცვლების გარეშე იმყოფებოდა ერაყელი მამაკაცი, რაც დაინახა მეზობლად მცხოვრებმა 5 წლის ბავშვმა, რის შესახებაც მშობლებს მოუყვა. აღნიშნული ფაქტის გამო ერაყის მოქალაქეებსა და ქართველ მოსახლეობას შორის უფრო გამწვავდა ურთიერთობა, რაც სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა.*

პროკურატურის პასუხში ასევე მითითებულია, რომ *აღნიშნული შეტყობინების ფარგლებში გამოიკითხნენ კონფლიქტის მონაწილე პირები, განმცხა-*

დებელი და მისი ოჯახის წევრი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი ფიზიკური დაზიანებები გამოწვეულია მიწაზე დაცემით.

საქმე N8162/16

სახალხო დამცველი სწავლობს თ. კ. - ს 2016 წლის 24 ივნისის განცხადებას.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ მეზობელი თ. დ. მუდმივად ემუქრება და აყენებს შეურაცხყოფას მას და მის დედას - ი. კ.- ს. განმცხადებლის განმარტებით, თ. დ.- ის ქმედებებს ეთნიკური მოტივი აქვს, ვინაიდან ის და მისი ოჯახის წევრები რუსულად საუბრობენ. თ. კ. აღნიშნავს, რომ პირველი კონფლიქტის შემდეგ გამოძახებულმა საპატრულო პოლიციამ არ ისურვა საკითხის შესწავლა და სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლნენ, რომ მათ კომპეტენციას სცილდებოდა მომხდარი ფაქტი და თ. კ.-ს ურჩიეს მიემართა სასამართლოსათვის ან შესაბამისი უწყებისათვის. მას შემდეგ, რაც თ. დ.-მ ი. კ.-ს მიაყენა ჭრილობა დანით, აღნიშნულის შესახებ განაცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოში, თუმცა პოლიციამ მხოლოდ ოქმი შეადგინა. მას განუმარტეს, რომ ი. კ-ს სხეულზე არსებული დაზიანება არ იყო საკმარისი გამოძიების დასაწყებად. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ექსპერტიზა არ დანიშნული დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის მიზნით. თ.კ.-მ ასევე მიმართა გენერალურ ინსპექციას, რათა მიეცათ მითითება პოლიციისთვის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარების შესახებ, თუმცა გენერალური ინსპექციის მხრიდან რეაგირება არ მომხდარა.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და გამოითხოვა ინფორმაცია, მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება ზემოაღნიშნულ საქმეზე სავარაუდო დისკრიმინაციული/სიძულვილის მოტივის დადგენის მიმართულებით და თუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა საქმეზე. პროკურატურიდან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ *თ.კ.-ს საქმესთან დაკავშირებით გამოძიება ცემის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამოძიების მიზნებისათვის, გამოიკითხნენ მოწმეები, მათ შორის თ. დ.- ც. დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები, თუმცა დასკვნები მიღებული არ არის. საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა დანაშაულის მოტივად ეთნიკური წარმოშობის დადგენა არ ხდება.*

საქმე N7216/16

სახალხო დამცველი სწავლობს ვ. ტ.- ს 2016 წლის 22 ივნისის განცხადებას.

განმცხადებლმა სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით შეატყობინა, რომ რამდენიმე ტრანსგენდერი იმყოფებოდა ქუჩაში, რა დროსაც მათ მიაყენს მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა. განმცხადებელი აპროტესტებდა პოლიციის

უმოქმედობას და ითხოვდა სახალხო დამცველის წარმომადგენლის ადგილზე მისვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა სუიციდით.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა ადგილზე და გაესაუბრა განმცხადებელს, რომლის განმარტებით, ღამის საათებში მის მეგობრებს უცნობმა პირებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით. ვ. ტ.-ს მტკიცებით, აღნიშნული ინციდენტის გამო გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, თუმცა სამართალდამცველებმა ადგილზე მისვლის შემდეგ არ განახორციელეს სათანადო რეაგირება. ამასთან, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მას და მის მეგობრებს მიმართავდნენ დამცინავი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით.

აღნიშნულ განცხადებაზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და გამოითხოვა ინფორმაცია დაიწყო თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ინციდენტის შესწავლა; გამოკითხა თუ არა ინციდენტში მონაწილე პირები, მათ შორის პატრულის თანამშრომლები; ასევე, გამოითხოვა პატრულის თანამშრომლების მანქანებისა და სამხრე კამერების ვიდეო ჩანაწერების ასლები.

2016 წლის 26 ივლისის წერილში აღნიშნულია, რომ შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, შს სამინისტროს მოსამსახურის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა. ამასთან, მოგვაწოდეს გენერალურ ინსპენქციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების ასლები და სამხრე კამერების ვიდეო ჩანაწერები.

საქმე N1600/15

სახალხო დამცველი სწავლობს ი. ვ. - ს 2015 წლის 25 თებერვლის განცხადებას.

განცხადების თანახმად, განმცხადებლის და მისი მეგობრების მიმართ ადგილი აქვს სიცოცხლის მოსპობის მუქარას, ვინაიდან მათ სამუშაოს ლგბტ თემის წარმომადგენლების უფლებების დაცვა წარმოადგენს. განმცხადებლის განმარტებით, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დისკრიმინაციული მოტივებით, საქმის გამოძიება განზრახ ჭიანურდება.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე საქმის წარმოების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველმა საწყის ეტაპზე ორჯერ გამოითხოვა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ინფორმაცია, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება განმცხადებლის მიერ მითითებული პირების მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის საქმეზე; ამასთან, დადებითი პასუხის შემთხვევაში, საქართველოს მთავარ პროკურატურას ეთხოვა განემარტა, რა საპროცესო

ღონისძიებები გატარდა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით და ამჟამად რა ეტაპზეა გამოძება. ასევე, აქვთ თუ არა დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული განცხადებაში მითითებულ პირებს.

საქართველოს პროკურატურის საპასუხო წერილების თანახმად, *2015 წლის 9 იანვარს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე განცხადებაში მითითებული პირების მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, განმცხადებელი და განცხადებაში მითითებული სხვა პირები. დათვალიერდა საინფორმაციო პორტალ „ambebi.ge"-ზე დადებული სტატია, სოციალურ ქსელ "facebook.com"-ის ე.წ. „ფოტოსკრინშოტები" აგრეთვე დათვალიერდა განმცხადებლის კუთვნილი მობილური ტელეფონი. პროკურატურიდან ასევე გვეცნობა, რომ აღნიშნული საქმის ფარგლებში დაზარალებულად ანდა ბრალდებულად ამ ეტაპზე, კონკრეტული პირი ცნობილი არ არის და გამოძიება გრძელდება.*

2016 წლის 2 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა მესამედ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურიდან. ამჯერად, სახალხო დამცველის ინტერესს წარმოადგენდა ინფორმაცია, თუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს აღნიშნულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით; ამასთანავე, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება სავარაუდო დისკრიმინაციული/სიძულვილის მოტივის დადგენის მიმართულებით, იქნა თუ არა აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულად ან დაზარალებულად ცნობილი კონკრეტული პირი; აგრეთვე, გამოთხოვილ იქნა ბრალდებისა და დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების ასლები. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხი არსობრივად არ განსხვავდებოდა აღნიშნული საქმის ფარგლებში სახალხო დამცველისთვის მოწოდებული წინა ორი წერილისაგან და აღნიშნული იყო, რომ *აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაზარალებულად ან ბრალდებულად ამ ეტაპზე, კონკრეტული პირი ცნობილი არ არის და გამოძიება გრძელდება.*

საქმე N49702/16

„სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–12 მუხლის საფუძველზე, 2016 9 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა დაიწყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე ვეგან-კაფე „Kiwi"-ში მომხდარი ინციდენტის საკუთარი ინიციატივით შესწავლა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვეგან-კაფეს ადმინისტრაციაზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2016 წლის 29 მაისს ვეგ-

ან-კაფე „კივიში“ ტარდებოდა ღონისძიება, რა დროსაც, დაახლოებით 15-20 ადამიანი, რომლებიც არიან „ქართული ძალა („ბერგმანი“) დაჯგუფების“ წევრები, შეიჭრნენ კაფეში. მათ ხელში ეჭირათ შამფურზე ასხმული მწვადი და კისერზე სოსისების ასხმები ჰქონდათ შემოხვეული. კაფეს მომხმარებლებს, რომლებიც იმ დროს საჭმელს მიირთმევდნენ, მათ მწვადი და სოსისები თეფშებზე დაუყარეს, ასევე მწვადს და სოსისებს ისროდნენ და აღნიშნულ ვითარებას ვიდეო კამერით იღებდნენ. ხმაურის გამო, ინციდენტით დაინტერესდნენ მეზობლები, რომლებსაც არ ჰქონდათ ინფორმაცია მიმდინარე ვითარების შესახებ. მეზობლები თავს დაესხნენ კაფეში მომუშავე პერსონალს, ერთ-ერთი მეზობელს ხელში დანა ეჭირა და მათ მოკვლით ემუქრებოდა. მეზობლებმა გამოიძახეს პოლიცია.

ამასთან, 2016 წლის 2 ივნისს, სახალხო დამცველის წარმომადგენელი ამავე კაფეში შეესწრო ინციდენტს, როდესაც რამდენიმე მამაკაცი კაფეს თანამშრომლებს გაეცნენ როგორც ჟურნალისტები და მათ ავიწროვებდნენ.

სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია, დაიწყო თუ არა გამოძიება ზემოაღნიშნულ ფაქტზე, რა სახის საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და დაიკითხნენ თუ არა კაფე “Kiwi”-ს თანამშრომლები; გარდა ამისა, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება სავარაუდო დისკრიმინაციული/სიძულვილის მოტივის დადგენის მიმართულებით და რა საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა ამ მიმართულებით; ამასთანავე, მოხდა თუ არა აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული პირის/პირების იდენტიფიცირება. ასევე, გამოვითხოვეთ ინფორმაცია ბრალდებულის/დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე შესაბამისი დადგენილებების ასლები.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 28 ივნისის წერილით, საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ *2016 წლის 30 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ქ. თბილისში, ვერცხლის ქ. N40-ის მიმდებარედ გ. ი. -ს მიმართ განხორციელებული ცემის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მითითებულ სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის მოტივისა და დადგენის მიზნით, ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები: დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის კაფე „კივის“ თანამშრომლები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, მოპოვებულ იქნა ვიდეო ჩანაწერები, ჩატარდა ამოცნობები და დაინიშნა ექსპერტიზები. ამ ეტაპზე საქმეზე ბრალდებულად ან დაზარალებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის და გამოძიება გრძელდება.*

საქმე N6091/16

სახალხო დამცველის სწავლობს მ. ო. - ს 2016 წლის 16 მაისის განცხადებას.

განმცხადებლის განმარტებით, მას ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი, ლ. ა., რომელიც მიმდინარე წლის 12 მაისს, სამმა არასრულწლოვანმა გააჩერა, გაიყვანა მიყრუებულ ადგილას, დააგდო მიწაზე და დაუნდებლად სცემა.

განცხადების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ლ. ა. მოძალადეებს სთხოვდა, არ დაერტყათ მისთვის, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო, იგი მაინც სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც, ლ. ა. -ს თავზე აქვს 4 ნაკერი. განმცხადებელი მიუთითებს, რომ საქმეს სამგორის რაიონის პოლიციის განყოფილება იძიებს. განმცხადებელი ასევე მიიჩნევს, რომ მისი შვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობას აქვს დისკრიმინაციული მოტივი.

სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა მიმართა მთავარ პროკურატურას ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. კერძოდ, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს თუ არა გამოძიება, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და კონკრეტულად რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა.

პროკურატურიდან მიღებულ პასუხში აღნიშნულია, რომ 2016 წლის 12 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-2 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება ლ. ა.-ს ცემის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები - დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, გამოიკითხნენ ფაქტის შემსწრე მოწმეები. ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით.

მოწმეების და თავად დაზარალებულის გამოკითხვის ოქმების თანახმად, ლ. ა.-ს მოძალადეებისთვის ინფორმაციას არ მიუწოდებია თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნული არც მათ შორის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი გამხდარა.

პროკურატურის პასუხში ასევე განმარტებულია, რომ ლ. ა. ცნობილია დაზარალებულად. ასევე, ა. ც.-ს მისი ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, თუმცა, ვინაიდან იგი არის არასრულწლოვანი. არ არის მიცემული სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში, რამდენადაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არას-

რულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში განიხილება, განრიდების შესაძლებლობა და ფასდება უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულების შესახებ მომართვიანობის სიხშირის მიუხედავად, გამოძიების პროცესში, ძირითადად, არ იკვეთება სიძულვილის მოტივი. როგორც საქართველოს პროკურატურიდან მიღებული პასუხებიდან ირკვევა, მსგავსი ტიპის სავარაუდო დანაშაულებთან მიმართებით, ძირითად შემთხვევებში, გამოძიება არ იწყება ან წყდება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

სახალხო დამცველი აცნობიერებს პროკურატურის ექსკლუზიურ კომპეტენციას და დისკრეციას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, თუმცა, სახალხო დამცველი, როგორც ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვაზე და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ორგანო, შეისწავლის და მონიტორინგს უწევს საკუთარი ინიციატივით თუ მომართვის საფუძველზე წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულს წარმოადგენს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან გამოძიების პროცესში სიძულვილის მოტივის გაუთვალისწინებლობის შედეგად ხდება ასეთი კატეგორიის დანაშაულების მნიშვნელობის უგულებელყოფა, პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაშიც, დამნაშავეს არ აქვს იმის რეალური აღქმა, თუ რისთვის დაისაჯა და შესაბამისად, სასჯელს არ აქვს პრევენციული ეფექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, დანაშაულის მოტივის იდენტიფიცირებისას გამოიყენონ მიდგომა, რომელიც ზოგადად დანაშაულების გახსნის პროცესში გამოიყენება და გამოძიება წარმართონ იმ მიმართულებით, რომ შესაძლებელი იყოს სავარაუდო სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირება.

2. მიმართვიანობა საერთო სასამართლოებისადმი დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საქალაქო და რაიონული სასამართლოებიდან გამოითხოვა ინფორმაცია სასამართლოებში დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიმართვიანობის შესახებ. კერძოდ, სახალხო დამცველის ინტერესის საგანს წარმოადგენდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შეს-

ვლიდან ინფორმაციის გამოთხოვის დღემდე (2016 წლის ივნისი) სასამართლოებში წარდგენილი სარჩელების რაოდენობა. ამასთან, გამოთხოვილ იქნა აღნიშნულ სარჩელებთან მიმართებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, განჩინებები ხარვეზის თაობაზე და სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, 2014 წლის 7 მაისიდან დღემდე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარის (სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე) და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, არც ერთი სარჩელი არ შესულა 34-დან 14 სასამართლოში. ამასთან, *სამტრედიის, ფოთისა და ამბროლაურის* სასამართლოებიდან გვეცნობა, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სარჩელები არც მათ დაქვემდებარებაში შემავალ მაგისტრატ სასამართლოებში ყოფილა წარდგენილი.

სასამართლოებიდან მიღებული პასუხების თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, მითითებულ პერიოდში, სულ 19 სარჩელია წარდგენილი. ამათგან, **10** საქმეზე დისკრიმინაციის ფაქტი არ დადასტურდა**. 3** საქმეზე მიმდინარეობს საქმის განხილვა, **3** საქმე წარმოებაში არ მიიღო სასამართლომ, ხოლო **1** საქმე შეეხება შემაკავებელ ორდერს, რომელიც დაამტკიცა სასამართლომ, **2 საქმეზე** კი სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოდან გვეცნობა, რომ სასამართლო არ აწარმოებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სტატისტიკას, რის გამოც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დააკმაყოფილონ ჩვენი მოთხოვნა და მოგვაწვდიდნენ იმ სარჩელებისა და გადაწყვეტილებების ასლებს, რომლის მოძიებაც შეძლეს. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოდან წარმოგვიდგინეს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული **6** სარჩელი, რომელთაგან **3** საქმეზე სამართალწარმოება განახორციელა თანასწორობის კოალიციის წევრმა, **რომელთაგან ერთ-ერთ, განსჯადობასთან დაკავშირებულ სარჩელთან მიმართებით სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.**[30] წარმოდგენილი **6** სარჩელით მოსარჩელეებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამათგან, **4** სარჩელი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, **2** სარჩელი კი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში არ მიიღო და განსახილველად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნა.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველს თბილისის საქალაქო სასამართლოში პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქ-

30 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/amicus-curiae2/sasamartlo-megobris-amicus-curiae-mosazreba-tbilisis-saqalaqo-sasamartlos.page

ტის შესახებ კიდევ 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება აქვს წარდგენილი, თუმცა აღნიშნული სარჩელები სასამართლოს არ მოუწოდებია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოდან მიღებული პასუხის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ფიქსირდება ერთი ადმინისტრაციული სარჩელი, რომელიც სასამართლოს წარედგინა 2015 წლის 16 ნოემბერს და ამჟამად წარმოებაშია. ამასთანავე, პასუხში მითითებულია, რომ მოსარჩელე სარჩელის შეტანისას მოითხოვდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, ხოლო, ვინაიდან *დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა განეკუთვნება სამოქალაქო წესით განხილვას მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და აღნიშნა, რომ მხოლოდ სამართლებრივ საფუძვლად იქნა მითითებული დისკრიმინაცია და არ ითხოვს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს არ დაუდგენია დისკრიმინაციის ფაქტი.*

რუსთავის საქალაქო სასამართლოს არ მოუწოდებია ზემოაღნიშნული სარჩელის ასლი, თუმცა, სავარაუდოდ, საუბარია სარჩელზე, რომელსაც თანასწორობის კოალიციის წევრი ორგანიზაცია აწარმოებდა და რომელზეც **2016 წლის 12 თებერვალს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა.**

***ზუგდიდის რაიონული* სასამართლოს** მიერ განხილულ იქნა **3 საქმე,** აქედან ერთი ეხებოდა შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხს პირის მიმართ, რომელიც სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ახორციელებდა შევიწროვებას. დანარჩენი **2 საქმე** განხილულ იქნა ადმინისტრაციული წესით. დისკრიმინაციის ფაქტი არც ერთ საქმეზე არ დადასტურდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი იქნა 4 სარჩელი, აქედან 3 საქმეზე წარმომადგენლობას თანასწორობის კოალიციის წევრები ახორციელებდნენ. 1 საქმეზე სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი, 1 საქმეზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, 1 სარჩელის წარმოებაში მიღებაზე კი სასამართლომ უარი თქვა. ამასთან, ბათუმის საქალაქო სასამართლომ რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა 1 საქმეზე, **რომელზეც სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.**[31]

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციული წესით განიხილა 2 საქმე. **სახალხო დამცველმა ორივე საქმეზე წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება - ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტთან,**[32] **ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გენდერული ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით.**[33]

31 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/amicus-curiae2/sasamartlos-megobris-mosazreba-batumis-raionul-sasamartlos.page

32 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/news/sasamartlos-megobris-mosazreba-zestafonis-raionul-sasamartlos.page

33 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/amicus-curiae2/sasamartlos-megobris-mosazreba-genderuli-nishnit-diskriminaciis-savaraudo-faqttan-dakavshirebit.page

გორის რაიონულ სასამართლოს მიმართეს 1 სარჩელით, რომლის განხილვაც სამოქალაქო წესით მიმდინარეობს.

ახალციხის რაიონული სასამართლომ განიხილა 1 საქმე რელიგიის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით, რომელზეც წარმომადგენლობას თანასწორობის კოალიციის წევრი ახორციელებდა. აღნიშნულ საქმეზე დისკრიმინაციის ფაქტი არ დადგინდა. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ეტაპზე **სახალხო დამცველმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.**

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა თანასწორობის კოალიციის წევრის მიერ წარდგენილი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული 1 სარჩელი, რომელზედაც დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი.

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს 1 საქმის განხილვა სამოქალაქო წესით სოციალური მდგომარეობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით, **რომელზეც, სასამართლოსთვის მიმართვამდე, სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გამოსცა.**[34]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაცია არასრულია. სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები, ასევე გამოსცა რეკომენდაციები სასამართლოს წარმოებაში არსებულ იმ საქმეებთან მიმართებით, რომელიც სასამართლოებს არ მოუწოდებიათ. ამასთან, სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული არაერთი საქმე არის შეჩერებული იმ საფუძვლით, რომ დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო საქმეს სასამართლო განიხილავს, თუმცა შესაბამისი სარჩელები/გადაწყვეტილებები სახალხო დამცველს სასამართლოებიდან არ მიუღია.

სასამართლოებიდან მოწოდებული სარჩელებისა და გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად იკვეთება დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების განხილვისას სახალხო დამცველის აქტიური მონაწილეობა. კერძოდ, საქმის განხილვის რომელიმე ეტაპზე წარდგენილია სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ან მსხვერპლის მიერ სასამართლოსთვის მიმართვამდე გამოცემულია რეკომენდაცია.

34 სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/rekomendacia-xulos-municipalitetis-sabavshvo-bagebis-gaertianebas-qonebrivi-mdgomareobis-nishnit-diskriminaciis-agmofxvris-sakitxze.page

თავი IV. საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა

ანტიდისკრიმინაციული კანონი სახალხო დამცველს ავალდებულებს თანასწორობის საკითხების შესახებ უზრუნველყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით, თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, საანგარიშო პერიოდში, ჩაატარეს ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, პროკურორებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისთვის.

1. ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისთვის

2015 წლის შემოდგომის სემესტრში (სექტემბრიდან დეკემბრამდე), დისკრიმინაციის შესახებ მართლშეგნების დონის ამაღლების მიზნით, საქართველოს 10 სკოლაში[35] ჩატარდა 16 ტრენინგი, რომელსაც IX-XI კლასების 309 მოსწავლე ესწრებოდა. თითოეული ტრენინგი დაახლოებით ორსაათნახევრის განმავლობაში გაგრძელდა.

ტრენინგებმა საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია სკოლებში. თეორიული ნაწილის გარდა, ტრენინგი ითვალისწინებდა სხვადასხვა სახალისო სავარჯიშოებს, გონებრივ იერიშს, როლურ გათამაშებებსა და კაზუსებს.

ტრენინგები ფოკუსირებული იყო სკოლის მოსწავლეებზე, თუმცა მასწავლებლების თხოვნით, ზოგიერთ სკოლაში ისინიც ესწრებოდნენ ტრენინგებს და ცალკეულ შემთხვევებში ერთვებოდნენ კიდეც დისკუსიაში. იყო შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი ვერ იაზრებდა, თუ რატომ არის დაუშვებელი მაგალითად, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია.

ლგბტ თემის წარმომადგენელთა უფლებები ყველაზე სენსიტიური თემა აღმოჩნდა ტრენინგების მსვლელობისას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეების აზრი ორად გაიყო. მოსწავლეები ძირითადად იმეორებენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ მცდარ შეხედულებებს და არ ფლობენ საკითხის შესახებ ობიექტურ და სრულყოფილ ინფორმაციას.

35 სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ფოთის №11 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ფოთის №7 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ თბილისის №167 საჯარო სკოლა; სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლა

2. ტრენინგები მასწავლებლებისთვის

2015 წლის 19-23 ოქტომბერს სახალხო დამცველთან არსებული ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში მასწავლებლებისთვის გაიმართა ტრენინგი, რომელსაც თბილისსა და რეგიონებიდან (თელავი, გურჯაანი, მარნეული, ახალციხე, ზესტაფონი, ქუთაისი, ქობულეთი, ფოთი, ბათუმი, ონი, თერჯოლა, ნიგვზიანი, წინწყარო, ჭელა, ამბროლაური, ვარძია, მოხე, სამთაწყარო) 25 მასწავლებელი დაესწრო.

ტრენინგის თემა იყო ადამიანის უფლებების სწავლება და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი სკოლებში. მასწავლებლებმა ტრენინგზე შეისწავლეს ბავშვებისათვის ადამიანის უფლებების სწავლების ამოცანები, გამოწვევები, ხერხები და მეთოდოლოგია; განათლების უფლება, ინდოქტრინაცია და რელიგიური სიმბოლოების გამოყენება სკოლაში, დისკრიმინაციის აკრძალვა სხვადასხვა საფუძვლებით; მასწავლებლები ასევე გაეცნენ შრომით უფლებებს, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს შრომით ურთიერთობებში, სახალხო დამცველის უფლებამოსილებას, მიმართვის წესს და ა.შ. მასწავლებლებს ჩაუტარდათ ასევე პრაქტიკული სწავლება.

ტრენინგს გაუძღვა ადამიანის უფლებათა იურისტი, ევროპის საბჭოს სერთიფიცირებული ტრენერი, ივანა როანა, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

3. ტრენინგი პროკურორებისათვის

2016 წლის 21-25 მარტს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ თბილისისა და რეგიონული პროკურატურის 42 პროკურორს და გამომძიებელს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე „სიძულვილი მოტივირებული დანაშაულების გამოძიება“.

კურსი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდოლოგიის შესახებ. კურსის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინდიკატორებს, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ და ქართული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

ტრენინგს უძღვებოდნენ ეუთოს წარმომადგენლები - სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ოფიცერი ალეშ ჰანეკი და ეუთოს მაკედონიის მისიის ოფიცერი ტომე შეკერძიევი, ასევე სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები მაკა სტივენსონი და ლევან მესხორაძე. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ტრენინგს ასევე დაესწრო სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი.

4. ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისთვის

2016 წლის 11-12 ივნისს თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის და ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, თანასწორობის საკითხების შესახებ ტრენინგი ჩაატარეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისთვის. ტრენინგი ჩატარდა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა II“ მხარდაჭერით. ტრენინგზე განხილული იყო საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, სახალხო დამცველის, როგორც ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის როლი და მის მიერ საქმის განხილვის სპეციფიკა. ტრენინგზე ასევე განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ბავშვის უფლებები.

ტრენინგი იყო ინტერაქციული ხასიათის და ძირითადად დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობდა. შეხვედრა ასევე ინფორმატიული აღმოჩნდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის, რამდენადაც, მონაწილეებთან დისკუსიისას სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მიეცათ შესაძლებლობა, განეხილათ ის პრობლემები და გამოწვევები, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები აწყდებიან.

თავი V. თანასწორობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება

თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგში.

2016 წლის 4-9 ივლისს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (EWMI-PROLoG) პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოში მოწვეულ იქნა სლოვენიელი ექსპერტი დისკრიმინაციის საკითხებში ბოჟდან ვერნიკ სეტინკი. ექსპერტი შეირჩა თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის (Equinet) რჩევით. ექსპერტმა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი „საგამოძიებო მეთოდოლოგია დისკრიმინაციის საქმეებზე". ტრენინგზე განხილული იყო დისკრიმინაციის ცნება, მისი ფორმები და სახეები, ასევე წარმოდგენილი იყო პრაქტიკული მაგალითები და მეთოდოლოგია, რომელიც აპარატის თანამშრომლებს დისკრიმინაციის ფაქტის აღმოჩენისა და მისი გამოკვლევის უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

ერთკვირიანი ვიზიტის განმავლობაში ექსპერტი ასევე შეხვდა საქართველოს ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მოისმინა მათ მოსაზრებები და შეთავაზებები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების და მათი გაუმჯობესების გზების შესახებ.

ექსპერტის ვიზიტის მიზანს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის გამოცდილების გაზიარება და ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ანტიდისკრიმიციული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესახებ ანგარიშის მომზადება წარმოადგენს.

2016 წლის 20-22 მაისს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „შეუწყნარებლობასთან ბრძოლა და სოციალური უფლებების დაცვა". ტრენინგი გაიმართა ევროპის საბჭოს პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში" ფარგლებში.

2016 წლის 22-24 აპრილს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „სახალხო დამცველი, როგორც სასამართლოს მეგობარი“. ტრენინგი გაიმართა ევროპის საბჭოს პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში.

2015 წლის 12-13 ნოემბერს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „ადამიანის უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“. ტრენინგი გაიმართა ევროპის საბჭოს პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში.

2015 წლის 14-15 ნოემბერს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „დისკრიმინაციისგან დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“. ტრენინგი გაიმართა ევროპის საბჭოს პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში“ ფარგლებში.

თავი VI. დასკვნა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღება თანასწორობის უფლების და ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით პროგრესული ნაბიჯია. კანონში ასახული არაერთი ნორმა დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესს უფრო ეფექტურს ხდის.

ამასთან, აღსანიშნავია კანონის დადებითი ეფექტი თანასწორობის უფლების რეალიზაციაზე. სახალხო დამცველის აპარატისადმი მომართვიანობა საკმაოდ მაღალია, რაც ნიშნავს, რომ კანონის ადრესატები აცნობიერებენ, რომ არსებობს დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ დარღვეული უფლების აღსადგენად იბრძოლონ.

ასევე, იმის მიუხედავად, რომ კერძო პირების მიერ სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი არ არსებობს, როგორც კერძო, ასევე საჯარო პირების მიერ რეკომენდაციების თუ ზოგადი წინადადებების შესრულების ან/და სახალხო დამცველთან თანამშრომლობის ნების გამოხატვის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს. ასევე შეინიშნება ტენდენცია, რომლის თანახმად, სახალხო დამცველის მიერ კონკრეტულ განმცხადებელთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს წახალისებას სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფი მსხვერპლისთვის, იბრძოლოს საკუთარი უფლებების რეალიზაციისთვის.

კანონში ასახული არაერთი მნიშვნელოვანი ნორმის მიუხედავად, რჩება პროცესუალური და მატერიალურსამართლებრივი ხასიათის ხარვეზები, რომელიც კანონის პრაქტიკაში იმპლემენტაციას გარკვეულ ბარიერს უქმნის. მსგავსი ხარვეზების გამოსწორება სახალხო დამცველის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, ამ მიმართულებით თანასწორობის დეპარტამენტი აქტიურად იმუშავებს.